უფასო

ჩემი გაზეთი

28 თებერვალი
2019 წელი

№1 (38)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი

ზაალ ებანოიძე - 80

თუ სტრიქონებში თავისით იშვა
მაშინ ვიწამებ ლექსის ბუნებას;
პოეზიაში დაკარგვა ნიშნავს
ოდში წასვლის და არ დაბრუნებას

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო პოეტსა და ნაღდ ბაღდათელს – ზაალ ებანოიძეს ულოცავს 80 წლის იუბილეს!

ჩვენი რეგიონის ღირსეულ პიროვნებასა და თანამედროვე ეპოქის გამორჩეულ პოეტს ზაალ ებანოიძეს ვულოცავ 80 წლის იუბილეს. ვუსურვებ დღეგრძელობას, ჯანმრთელობასა და მხნეობას. ბატონი ზაალი მრავალი წელია ემსახურება ქართულ პოეზიას და საკუთარი წვლილი შეაქვს მის განვითარებაში. თითოეული ლექსი და პოემა უძლებს დროსა და სივრცეს. დღესაც აქტუალურია და სიამოვნებით წასაკითხია ის კრებული, რომელიც პირველად 1957 წელს გამოსცა. მას შემდეგ არაერთი წიგნის ავტორი და რედაქტორია. მისი პოეზია გამოირჩევა ვერსიფიკაციური მრავალფეროვნებით. მას კალამმა მრავალჯერ მოუტანა აღიარება, არის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის, ლადო ასათიანის სახელობის პრემიის, ღირსების ორდენის კავალერი და კიდევ სხვა ჯილდოების მფლობელი. ბატონი ზაალი გამოირჩევა უბრალოებითა და თავმდაბლობით. სწორედ ამიტომ არის სახალხო პოეტი და ყველასთვის პატივსაცემი პიროვნება. კიდევ ერთხელ ვულოცავ ღირსეულ ქართველს იუბილეს და წარმატებებს ვუსურვებ!

შავლეგო ტაბატაძე – იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული

მასშტაბური პროექტები 2019 წელს იმერეთში

იმერეთის რეგიონში 2019 წელს არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება. უფრო დეტალურად მიმდინარე წლის გეგმების შესახებ წაიკითხავთ იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის – შავლეგო ტაბატაძის ინტერვიუში, რომელსაც „ჩემი გაზეთი“ გთავაზობთ.

– როგორც ცნობილია, წელს კვლავ განახლდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა და ადმინისტრაციასთან ერთად სტუმრობდით რეგიონის სხვადასხვა სოფელს, ხვდებოდით მოსახლეობას. გვიამბეთ ამის შესახებ.

– დანიშვნის დღიდან ჩემი პრიორიტეტია მოსახლეობა აქტიურად ჩაერთოს საკუთარი მუნიციპალიტეტის განვითარებაში და მათგან მოვისმინოთ ყველა ის საკითხი, რაც აქტუალურია როგორც ქალაქად, ასევე სოფლად. სწორედ ამ მიზნით, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში, შეიქმნა სამი ჯგუფი და დავგეგმეთ იმერეთის 554-ვე სოფელში ჩავიდეთ და ხალხს მოვუსმინოთ. ამ მიმართულებით ჭიათურიდან დავიწყე მუშაობა და პრობლემების მოსმენა. შეხვედრებზე ძირითადად მოსახლეობა სასმელი წყლის სისტემისა და გზების მოწესრიგებას, გაზიფიცირებას, გარე განათებას, სკოლამდელი დაწესებულებებისა და სპორტული მოედნების აშენება-რეაბილიტაციას ითხოვს. სოფლებში, სადაც უკვე ვიყავი, პრობლემები იდენტურია, მაგრამ ჩამონათვალიდან ისინი ირჩევენ პრიორიტეტებს, რისი გაკეთებაც პირველ ეტაპზე სურთ. ჩვენ ყველა ამ საკითს ვინიშნავთ, ვაანალიზებთ და საბოლოოდ გავაკეთებთ ერთიან ბაზას, სადაც აისახება ყველა საკითხი, განისაზღვრება პრიორიტეტები და ეტაპობრივად მოხდება მათი გადაჭრა. ეს ბაზა დაგვეხმარება გეგმიურად განვახორციელოთ პროექტები და თითოეული მუნიციპალიტეტი განვავითაროთ სწორად.

სოფლების განვითარებისა და არსებული პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით სახელმწიფომ ნამდვილად კარგი პროექტი აღადგინა. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, 20 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი, თუმცა ეს თანხა გაორმაგდა და ახლა 40 მილიონი ლარია გათვალისწინებული. იმერეთის სოფლებში აქტიურად მიმდინარეობდა კრებების ჩატარება და მოსახლეობამ თავად მიიღო გადაწყვეტილება რა სჭირდება სოფელს პირველ ეტაპზე. კრების შედეგად ისინი შეთანხმდნენ და ერთობლივად განსაზღვრეს პროგრამის ფარგლებში, 2019 წელს, რომელი პროექტი განხორციელდეს მათ სოფლებში. ეს არის კიდევ ერთი კომპონენტი იმისა, რომ სოფლად უფრო მეტი პროგრამა განხორციელდეს, ვიდრე იყო გასულ წელს. რამდენიმე სოფელში დავესწარი კრებას და მინდა გითხრათ, რომ თითოეული მოქალაქე აქტიურად არის ჩართული, არის აზრთა სხვადასხვაობა, თუმცა საბოლოოდ მაინც თანხმდებიან. მხარის მასშტაბით სოფლის კრება ყველგან ჩატარდა.

– რას გვეტყვით, მიმდინარე წელს განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე?

– იმერეთის რეგიონში 2019 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის გამოყოფილია 330 595 589 ლარი. აქედან თანხის უმეტესი ნაწილი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისთვის დაიხარჯება. 12-ვე მუნიციპალიტეტში რეაბილიტაცია ჩაუტარდება როგორც ცენ-

გაგრძელება მე-2 გვ.

მასშტაბური პროექტები 2019 წელს იმერეთში

დასაწყისი 1 გვ.-ზე

ტრალურ ქუჩებს, ასევე სოფლებამდე მისასვლელ და შიდასაუბნო გზებს. შემიძლია რამდენიმე მასშტაბური პროექტი გამოვყო. ამ ეტაპზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ძირულა–ხარაგაული–მოლითის 25 კმ-იანი გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს და მალევე დაიწყება მოლითი–ფონა–ჩუმათელეთის 25 კილომეტრიანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. ზემოთ აღნიშნულ ორივე ლოტს აზიის განვითარების ფონდი 80 მილიონი დოლარით აფინანსებს.

ასევე აქტიურად მიმდინარეობს ბაღდათი–აბასთუმანი–ბენარას საავტომობილო გზის 20 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა. აღნიშნული გზა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა და ორ რეგიონს – იმერეთსა და სამცხე-ჯავახეთს აკავშირებს ერთმანეთთან.

ჩვენი რეგიონი და, ზოგადად, აღმოსავლეთ საქართველო უმოკლესი გზით კიდევ ერთ რეგიონს – რაჭას დაუკავშირდება. ვგულისხმობ საჩხერე-ონის დამაკავშირებელ გზას, რომლის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი დასრულდა. ამჟამად მიმდინარეობს მეორე ეტაპის სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც დაიგება 5,5 კმ მონაკვეთი. საბოლოო ჯამში კი 50 კმ-ზე მეტი გზა უნდა დაიგოს. პროექტი 2 ხიდის მშენებლობასა და სანიაღვრე არხების მოწყობასაც ითვალისწინებს და იგი 2020 წელს დასრულდება.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მასშტაბური პროექტი, რომელიც ტყიბულის მუნიციპალიტეტში ხორციელდება. საუბარია ორპირი-სოჩხეთის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზაზე, რომლითაც 15 სოფელი ისარგებლებს.

ჩემი მოთხოვნა არის როგორც მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელების, ასევე სამშენებლო კომპანიების მიმართ, რომ ტენდერების მოგების შემთხვევაში, მაქსიმალური ყურადღება მიექცეს სამუშაოების ხარისხიანად და ეფექტურად შესრულებას. ასევე მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ვადები და ყველა სამშენებლო კომპანიამ ობიექტები უნდა დაასრულოს მოცემულ პერიოდში, რათა მოსახლეობას დროულად შეუსრულებელი სამუშაოების გამო დისკომფორტი არ შეექმნას.

– არსებობს თუ არა იმერეთში წყლის პრობლემა და როგორ მუშაობთ ამ მიმართულებით?

– წყლის პრობლემა რეგიონში მეტნაკლებად არსებობს. აღარ მინდა დეტალურად შევეხო ამ კუთხით ქუთაისში არსებულ მდგომარეობას. ყველამ კარგად იცით, რა ხარვეზებიც იყო. მოსახლეობისთვის მთავარია, როდის მიიღებს წყალს გრაფიკის გარეშე. ჩემი ინფორმაციით, სრული წყალმომარაგება ქალაქს 2019 წლის ზაფხულში ექნება. გარდა ამისა, ამ კუთხით სამუშაოები მიმდინარეობს ჭიათურაშიც. პროექტის განხორციელებისთვის აზიის განვითარების ბანკიდან 36, 6 მილიონი ლარია გამოყოფილი და სამუშაოების დასრულების შემდეგ მუნიციპალიტეტის სრული წყალმომარაგება მოხდება. ასევე, წლის განმავლობაში, ამ მიმართულებით სხვადასხვა პროექტის განხორციელებაც იგეგმება და უფრო მეტი სამუშაო ჩატარდება, ვიდრე წინა წლებში ხორციელდებოდა. რეგიონში გვაქვს ისეთი სოფლები, სადაც წყალმომარაგება მოსახლეობისთვის პრობლემას წარმოადგენს. თუმცა გარკვეულ ნაწილში არის რეზერვუარები, რომლის რეაბილიტაციის შედეგადაც შევძლებთ მოსახლეობას მივაწოდოთ წყალი. ამ საკითხზე აქტიურად ვმუშაობთ და მაქსიმუმს გავაკეთებთ, რომ 2019 წელს სამუშაოები თითოეულ ასეთი ტიპის სოფელში განვახორციელოთ.

– ერთ-ერთი მნიშვნლოვანი საკითხია მოსახლეობის გაზიფიცირება. ამ მიმათულებით რა გეგმები გაქვთ მიმდინარე წელს?

– გაზიფიცირებას რაც შეეხება, არსებული ინფორმაციით, 2019 წელს დაგეგმილია 25-მდე სოფელში გაზიფიცირებისთვის საჭირო სამუშაოების დაწყება. ასევე არის სოფლები, სადაც წელს პროექტირება მოხდება და 2020 წელს დაიწყება სამუშაოები. იმერეთის სოფლების უმრავლესი ნაწილი გაზიფიცირებულია, თუმცა ჩვენი მიზანია რეგიონის ყველა სოფელს ჰქონდეს ბუნებრივი აირი და მუშაობას ამ კუთხითაც აქტიურად გავაგრძელებთ.

– ქალაქ ქუთაისში რა მნიშვნელოვანი პროექტები იგეგმება?

– თქვენ იცით, რომ დაანონსებულია ქუთაისში მასშტაბური პროექტი, რომელიც ითვალისწინებს რიონისპირა სახლების სრულ რეაბილიტაციას. „წითელი ხიდიდან – ჯაჭვის ხიდამდე“ არსებული ნაგებობები მე-19 საუკუნეში არის აშენებული და დღეს ის რეაბილიტაციას ნამდვილად საჭიროებს. პროექტი ისტორიული უბნისა და დავით კაკაბაძის სახვითი ხელოვნების გალერეის რეაბილიტაციას მოიცავს. აღნიშნული ტერიტორიის განვითარება ქუთაისისთვის არის უმნიშვნელოვანესი. პირველ რიგში, ის ადამიანები დაუბრუნდებიან საკუთარ სახლებს, ვინც ამჟამად ნაქირავებში მხოლოდ იმის გამო გადავიდნენ, რომ მათი საუკუნოვანი სახლები ინგრეოდა და საცხოვრებლად ყოველდღიურად უფრო საშიში ხდებოდა. ამ ზოლის განვითარება სარგებელს მოუტანს ქალაქსაც. პროექტის დასრულების შემდეგ აღნიშნული ადგილი როგორც ტურისტებისთვის, ასევე ადგილობრივებისთვისაც მიმზიდველი და საინტერესო იქნება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პროექტის ფარგლებში იგეგმება დავით კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია. თუ დღემდე გალერეაში ექსპონანტები რიგი მიზეზების გამო არ იყო გამოფენილი და სათანადოდ დაცული, ეს პრობლემა მალე აღარ იარსებებს.

– როგორც ვიცით, წელს ქუთაისში იწყება ევროსტანდარტების შესაბამისი პირველი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა. გვესაუბრეთ ამ პროექტის მნიშვნელობაზე.

– საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასა და ფრანგულ-სლოვენიურ კონსორციუმ „სადე-რიკოს“ (Sade Riko) შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ევროსტანდარტების შესაბამისი პირველი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობის დაწყების შესახებ. ამ სფეროში ევროპული მიდგომა, პირველ რიგში, გულისხმობს ისეთი ნაგავსაყრელების მოწყობას, რომელიც იქნება ძალიან მაღალი გარემოსდაცვითი და ჯანდაცვის სტანდარტებისა. ის დისკომფორტი, რასაც მოსახლეობა განიცდის ნაგავსაყრელების სიახლოვეს, არ იარსებებს. ეს არის ინფრასტრუქტურული მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი. რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა ქუთაისთან ახლოს მიმდინარე წელს დაიწყება და დაახლოებით ერთ წელიწადში დასრულდება. მშენებლობაზე, სპეციალისტებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობაც დასაქმდება. ობიექტი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის 700 000-მდე მოქალაქეს მოემსახურება. პროექტი ასევე ითვალისწინებს ქუთაისში არსებული ე.წ. ნიკეას ნაგავსაყრელის დახურვას, მუნიციპალიტეტებისთვის ნარჩენების მოგროვებას, ქუჩების დასუფთავების სისტემის გაუმჯობესებასა და ნარჩენების გადამტვირთი სადგურების მოწყობას.

პროექტი ხორციელდება ქართულ-გერმანული მხარეების ფინანსური თანამშრომლობით. ადგილობრივ კონტრიბუციასთან ერთად პროექტის დონორები არიან: გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW) და ევროკავშირის სამეზობლო ინვესტირების ფონდის EU-NIFF გრანტი. პროექტის საერთო ინვესტიცია 26 მილიონი ევროა.

– სასკოლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით რა სამუშაოების განხორციელება იგეგმება რეგიონის მაშტაბით?

– მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი არის განათლება, ამ სფეროში რეფორმების დანერგვა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. იმერეთში, სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ეგიდით, 17 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია ხორციელდება, მათგან ორი სკოლა ზესტაფონში და ორიც ქუთაისში

უკვე გავხსენით. რეგიონის მასშტაბით სამუშაოებისთვის 10 მილიონ დოლარზე მეტია გამოყოფილი და, საერთო ჯამში, 50, 500 კვადრატული მეტრის რეაბილიტაცია განხორციელდება. სამუშაოების დასრულების შემდეგ კი სასწავლო პირობები 10 000 მოსწავლისთვის გაუმჯობესდება. პროექტის ფარგლებში წესრიგდება ფასადები, თავიდან ილესება კედლები, იგება ახალი იატაკი, იცვლება კარ-ფანჯარა, მონტაჟდება გათბობის ახალი სისტემა, ეწყობა ლაბორატორიები, სააქტო და სპორტული დარბაზები, ასევე იცვლება სანტექნიკა.

გარდა მილენიუმის პროგრამისა, 2019 წელს, საქართველოს მთავრობის დაფინანსებით, იმერეთში 6 სკოლის მშენებლობა დაიწყება. სკოლები იმ სოფლებში და მუნიციპალიტეტებში შენდება, სადაც ამ მიმართულებით ყველაზე მძიმე მდგომარეობა გვაქვს. მაგალითად, ზესტაფონის სოფელ არგვეთში 120 მოსწავლე კერძო სახლში სწავლობს იმის გამო, რომ სკოლის ძველი შენობა, ექსპერტიზის დასკვით, არის საფრთხის შემცველი. მუნიციპალური განვითარების ფონდმა 6-ვე სკოლის პროექტირება-მშენებლობაზე ტენდერი უკვე გამოაცხადა. წელს ასევე იგეგმება რამდენიმე სკოლის რეაბილიტაცია. ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი და, მჯერა, რომ სკოლების რეაბილიტაციისა და მშენებლობის საკითხი შეუქცევადი იქნება.

აქვე დავამატებ, რომ 2019 წელს როგორც საჯარო სკოლების, ასევე სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი, რათა თითოეულ ბავშვს კომფორტულ გარემოში აღზრდის პირობა შევუქმნათ.

– თუ იგეგმება მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი ინვესტიციის ჩადება იმერეთის რეგიონში?

– ინვესტიციის კუთხით, რაც უკვე დადასტურებით ვიცით, 2019 წელს სამშენებლო კომპანია „m^2 უძრავი ქონება“ ქუთაისში ახალი საერთაშორისო ბრენდის სასტუმროს ააშენებს. ახალი სასტუმრო, რომელიც ქალაქის ცენტრში, თეთრი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა აშენდეს, მოიცავს 125 ნომერს განსაკუთრებული ინტერიერითა და ხედებით. პროექტის სრული საინვესტიციო ღირებულება 30 მილიონი ლარია. სასტუმროს მშენებლობისა და შემდგომ მისი ოპერირებისთვის 250- მდე ადგილობრივი დასაქმდება. პროექტი 2020 წლის მე-4 კვარტალში უნდა დასრულდეს.

ასევე 2019 წელს ტყიბულში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქურთუკების ქარხნის მშენებლობა იგეგმება, რომლის საინვესტიციო ღირებულება, პირველ ეტაპზე, 5 მილიონი აშშ დოლარია. პროექტს „საპარტნიორო ფონდი“ ჩინელ ინვესტორებთან ერთად განახორციელებს. დამზადებული პროდუქცია, ადგილობრივთან ერთად, საერთაშორისო ბაზარზე ექსპორტისთვის იქნება გათვლილი და, გადამზადების შემდეგ, საწარმოში 300-ზე მეტი ადგილობრივი დასაქმდება.

რაც შეეხება წყალტუბოს, მას აქვს დიდი ტურისტული პოტენციალი და ამ მიმართულებით მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს, რათა კომპლექსურად მოხდეს აღნიშნული კურორტის განვითარება. ინვესტორები დაინტერესებულები არიან კურორტით და მოლაპარაკებები სხვადასხვა დონეზე აქტიურად მიმდინარეობს.

– რა გეგმები გაქვთ დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიმართულებით?

– თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ დეკემბრის ბოლოს ქუთაისში, აღმაშენებლის ქუჩაზე 52 დევნილ ოჯახს გა-

გაგრძელება მე-3 გვ.

მასშტაბური პროექტები 2019 წელს იმერეთში

დასაწყისი 1 გვ.-ზე

დაეცა ბინა. პირველ ეტაპზე ის ოჯახები დაკმაყოფილდნენ, რომლებიც, სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, ნგრევად შენობებში ცხოვრობდნენ. პროცესი გრძელდება და, განსახლების მიზნით, ქუთაისში კიდევ 245 ბინაა შესყიდული. ჯამში, 2019 წელს, გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, 725 ბინა განაწილდება.

წყალტუბოში უკვე დასრულდა ტენდერი და 420 დევნილი ოჯახისთვის 6 კორპუსის მშენებლობა დაიწყება. ამ ეტაპზე კი 140-ბინიანი 2 კორპუსის მშენებლობა მიმდინარეობს და ამ კორპუსებში 2019 წელს მოხდება დევნილების ბინებით უზრუნველყოფა. მშენებლობების დასრულების შემდგომ კი წყალტუბოში ყველა ნგრევადი ობიექტი დაიხურება. 2013 წლიდან დღემდე, იმერეთის რეგიონში, ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში საცხოვრებელი ფართი, ჯამში, 1300-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა.

– სოციალური პროგრამების შესახებ გვესაუბრეთ. ამ მხრივ რა გეგმები გაქვთ?

– რეგიონის მასშტაბით 12-ვე მუნიციპალიტეტი სხვადასხვა სოციალურ პროგრამას ახორციელებს. მათ შეჭირვებული ოჯახებისთვის აქვთ უფასო სასადილო, მრავალშვილიანი ოჯახებისა და შშმ პირებისთვის დახმარების პროგრამა, უფასო მგზავრობა, კომუნალური გადასახადების გადახდა თანადაფინანსებით, მედიკამენტებით უზრუნველყოფა და კიდევ არაერთი პროგრამაა, რომელიც სოციალურად დაუცველებზეა გათვლილი. ამ მიმართულებით წელს იმერეთის 12-ვე მუნიციპალიტეტში 15 487 389 ლარია გამოყოფილი.

– ჯანდაცვის მიმართულებით რა აქტივობები ხორციელდება?

– იმერეთში, თერჯოლის გარდა, სასწრაფო დახმარების ცენტრები ბოლო 3 წლის მანძილზე ყველგან აშენდა ან რეაბილიტაცია ჩაუტარდა. მას შემდეგ სამედიცინო პერსონალს გაცილებით კომფორტულ გარემოში უწევს მუშაობა, ვიდრე ეს იყო გასულ წლებში. წელს კი აუცილებლად უნდა გადავჭრათ პრობლება და, ამ მიზნით, თერჯოლაში დაგეგმილია სასწრაფო დახმარების ცენტრის მშენებლობა. პროექტის განხორციელების შედეგად სამედიცინო პერსონალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამის გარემოში იმუშავებს.

– რას გვეტყვით საზოგადობრივი ცენტრების მშენებლობასთან დაკავშირებით?

– ბოლო პერიოდში, იუსტიციის სამინისტროს ეგიდით, საზოგადოებრივი ცენტრების აშენება საქართველოს მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს. ისინი გასულ წელს იმერეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტსა თუ სოფელში გაიხსნა. 2018 წლის დასასრულს კი საჩხერესა და სოფელ საზანოში გავხსენით. რამდენიმე დღის წინ გავხსენით ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ საწირეში. წელს კი 4 საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობაა დაგეგმილი. ზოგადად, აღნიშნული დაწესებულებები მოსახლეობას საშუალებას აძლევს ისარგებლოს 200-ზე მეტი საჯარო და კერძო სერვისით, უფასო ინტერნეტით, კომპიუტერებითა და ვიდეოკონფერენციის აპარატურით. ასევე, ადგილობრივები ისარგებლებენ როგორც მატერიალური სახით არსებული წიგნებით, ისე ელექტრონული ბიბლიოთეკითაც. რაც შეეხება საზოგადოებრივი ცენტრის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ საკონფერენციო დარბაზს, აღნიშნული ინფრასტრუქტურით სარგებლობა ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებსაც შეეძლებათ.

– სპორტული-ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით რა გაკეთდება წელს რეგიონში?

– საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ქუთაისის აუზის პროექტირებაზე ტენდერი გამოაცხადა. პროექტით გათვალისწინებულია ქუთაისში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საცურაო აუზის მშენებლობა. აუზის სიგრძე 50 მეტრი, ხოლო სიგანე 25 მეტრი იქნება. პროექტი უნდა ითვალისწინებდეს გასახდელებისა და საშხაპეების მოწყობას აუზის მომხმარებლების, მსაჯებისა და მწვრთნელებისთვის. ასევე უნდა მოეწყოს სპორტსმენთა ფიზიკური მდგომარეობის აღდგენისა და ტრავმების სარეაბილიტაციო დანიშნულების სივრცეები. გარდა ამ მასშტაბური პროექტისა მუნიციპალიტეტებში იგეგმება მინი მოედნების მოწყობა და რეაბილიტაცია.

– როგორც ვიცით, ტურიზმი ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ მნიშვნელოვანი სფეროა. ამ მიმართულებით რა გეგმები გაქვთ 2019 წელს?

– თქვენთვის ცნობილია, რომ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს 1-ლი აგვისტოდან 6 ახალი, ევროპული მიმართულება დაემატება. ამ შეთანხმების შედეგად საქართველოს ეკონომიკაში დამატებით 100 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდება, შეიქმნება რამდენიმე ათეული სამუშაო ადგილი.

ქუთაისის აეროპორტში ფრენის განრიგს დაემატა ახალი ქალაქები: ბრიუსელი, კოპენჰაგენი, ბაზელი, ეინდჰოვენი, ტალინი, ბარი.

2018 წელს ვიზეარმა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მგზავრთნაკადის 95% გადაიყვანა (587,643 მგზავრი) და საქართველოს ავიაციის ისტორიაში პირველად ვიზეარი ბაზრის ლიდერი გახდა. ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს რეგიონში ტურიზმის განვითარებას. თქვენ იცით, რომ ამ მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა და ქუთაისის ტურიზმის ცენტრში მისული ტურისტი არა მარტო ამ ქალაქის, არამედ იმერეთში ღირშესანიშნაობების შესახებაც მიიღებს ინფორმაციას. იმერეთის ტურიზმის მართვის ორგანიზაცია ყველა მათგანს დეტალურ ინფორმაციას მიაწოდებს, სად რა კულტურული ძეგლებისა და ტურისტული ობიექტების ნახვა არის შესაძლებელი. 2019 წელს რამდენიმე ობიექტი გაიხსნება, ვანში დასრულდება არქეოლოგიური მუზეუმის მშენებლობა, გაიხსნება საწურბლიას მღვიმე წყალტუბოში, თერჯოლაში ახლახანს გაიხსნა ნავენახევის მღვიმე. ყველა მნიშვნელოვანი ობიექტი შევა საინფორმაციო ბროშურაში, შეიქმნება ტურისტული მარშრუტები და ტურისტებს საშუალება ექნებათ თავად აარჩიონ და დაათვალიერონ მათთვის სასურველი ადგილი.

ზაალ ებანოიძე - 80

მშობელ მიწაში მიდგას ფესვები

1972 წლის გაზაფხული იდგა. მოწიწებით შევაღე დიმის II საშუალო სკოლის სამასწავლებლოს კარი. რამდენიმე ლამაზი თვალის სხივი შემომეფეთა. მომავალი ჩემი კოლეგები... სხვადასხვა ასაკის, ყველას თბილი და კეთილი ღიმილი გადაჰფენოდა სახეზე. სათითაოდ გამეცვნენ.

-თქვენი კოლეგა იზოლდა ქუთათელაძე, – ხელი გამომიწოდა ერთმა. გავიფიქრე: – რა ლამაზია! – უცებ მომესმა: – პოეტ ზაალ ებანოიძის მეუღლეა. სიტყვამ „პოეტი“, „ასომთავრულით“ ნაშენმა, რიდითა და მოკრძალებით განმაწყო მის მიმათ.

სოფელი დიმი... ბატონ ზაალ ებანოიძის ოჯახის საცხოვრისი. მისი კაცობის თავი და ბოლო, მთელი სამყაროს საფიქრალსა და განსაცდელს რომ ატევს პოეტი.

„აქ სხვაგვარი დილაა და საღამო
სიო არხევს სუროებს და იელებს
მთვარე წყალში დაყვინთავს და
არ ამოვა
რიჟრაჟამდე თევზებს ათვალიერებს“, –

ასე ეფერება ბატონი ზაალი თავის „ადგილის დედას“. ოჯახის მეთერთმეტე შვილს, რომელსაც „ტანზე ნაჭრებით შეკერილი შარვალი ეცვა და ხშირად მარილდაკლებულ ჯიჯილაყით და ჭინჭრის კერძით“ იურვებდა შიმშილს, ბავშვობიდანვე გამძაფრებული ჰქონდა იმის ხილვის სურვილი, თეთრი ნისლით თუ როგორ გადაიხვევდა დიმის ციხე ბებერ ტანზე ნაიარევს, მისთვის სხვაგვარად მღეროდა აქ მესკია ჩიტი, მერე ეს გალობა პოეტის ვალთან რომ გააიგივა ლექსის შემოქმედმა:

„ესაა ჩიტის და პოეტის ვალიც
იმღერე, მესკიავ, ემაგ ხმის კვალით“.

სულ სხვანაირად ელამუნებოდა მის სახეს სარკიასა და ამილახოურიდან მონაბერი ნიავი და ნელ-ნელა ყალიბდებოდა მის არსებაში ისეთი პოეტი, რომელსაც შეეძლო წვიმის ჟუჟუნა ხმაში აღმოეჩინა „ხანგამოშვებით, თავზარდამცემი მეხი“ და მან „უბრალოდ იპოვა თავისი თავი და სულ სხვა დონის ლექსები შემოგვთავაზა – ღირებული, წონიანი, ყურადღებამისაქცევი“ (ჯ. ღვინჯილია).

ჩემი და ბატონი ზაალის ნაცნობობა ათეული წლების წინ დაიწყო. ახალგაზრდა მასწავლებლები იზოლდას დიმში ვეწვიეთ სტუმრად. ეზოში შესვლისთანავე იგრძნობოდა, რომ ამ ოჯახის თავკაცი კარგი მეურნე და ეზო-გარემოს მოყვარული კაცი იყო. ის-ის იყო, მაგიდას მივუსხედით, რომ ვენახიდან დაბრუნებულმა ზაალმა შემოაღო კარი. საოცარი ქართული მასპინძლობა, ლექსს ლექსი ცვლიდა, სადღეგრძელოს –სადღეგრძელო. გადიოდა წლები... ჩემს თვალწინ, ნელ-ნელა ბატონი ზაალი ჩამოყალიბდა „ელიტარულ პოეტად“ (ზოიძე), მე კი მისი პოეზიის ერთგულ მკითხველად.

ჯანსუღ ღვინჯილიას ოჯახთან ჩემმა ახლობლობამ კიდევ უფრო გააღრმავა ბატონი ზაალისა და ჩემი ურთიერთობა. ხანისწყლის იქეთა ნაპირას გაზრდილ პოეტს განსაკუთრებულად ეამაყებოდა ამავე მდინარის მეორე ნაპირზე ფეხადგმული მწერლის – ჯანსუღ ღვინჯილიას თანამემამულეობა:

„ხეების იალკიალი
სურათს იძლევა რა სრულს
შენი და ჩემი ზიარი
დიმის, ძვირფასო ჯანსუღ!

წლები წავიდნენ – ამ ხნის მანძილზე რამდენჯერ მინახავს ბატონი ზაალი ქართულ სიტყვასთან შეჭიდებული სცენაზე და ვიწრო წრის შეხვედრებზე. მინახავს თავისი დიმურ ეზოში დაკრეფილი ხილით სავსე კალათით როგორ მიეშურებოდა თავისი ცოლ-შვილისაკენ „ქუსლებგაცვეთილი ფეხსაცმლით, აწეული საყელოთი, შუბლზე ჩამოშლილი თმით“... თითქოს ქარიდან მოდიოდა და „მოულოდნელად ამოვარდნილ ქარისგან მიმოფანტულ ყვავილებს აგროვებდა დიდი გაზაფხულის დასახატად“ (თ. ლანჩავა).

დიახ, მან შეძლო გაზაფხულის ყვავილების დახატვა.

ბატონი ზაალი – თავმდაბალი, მორიდებული, კეთილი, უშუალო, კარგი ქართველი, დიდი მამულიშვილი, რომლის პოეტური სმენა „ჰაერში გაჩერებულ ტყვიად“ იქცა.

– დედამისმა, ჩემმა დედამთილმა, იცოდა საოცრად ხატოვანი საუბარი, ისეთი სიტყვებით მოეფერებოდა კრუხ-წიწილას, ბალახს, ყვავილს, რომ ბევრ პოეტს შეშურდებოდა, – გაგვიმხილა ერთხელ ქალბატონმა იზოლდამ. ამ მხრივ, უსათუოდ, დედას ჰგავს ზაალი. ამბობენ, ყველა ქართველი პოეტიაო. ჩემი აზრით, გადაუჭარბებლად ვიტყვი, ბატონი ზაალი მარადისობასთან წილნაყარი შემოქმედია. ამიტომაც დიმი ესათუთება ზაალს, დიმს ეამაყება პოეტი ზაალ ებანოიძე.

ანჟელინა ჭავჭანიძე

ზაალ ებანოიძე - 80

ზაალ ებანოიძე

(ფიქრები მეგობარზე)

ფიქრებს წარსულში მივყავარ... ცოტანი შემოვრჩი-თქო, ვერ ვიტყვი... თუმცა იმ თავყრილობიდან, ზაალ ებანოიძის ოჯახიდან დაბრუნებული ახალგაზრდა მწერლები ჩხეიძეების სამყოფელში რომ აღმოვჩნდით, ორიოდე კაცია ცოცხალი! რაც აშკარა ნოსტალგიას მიჩენს. ამიტომაა, უჩუმარ გადასახლებას ვიწყებ... წარსულში ვბრუნდები. არადა, საოცარი მიზიდულობა ჰქონდა იმ მხარეს, ზედა და ქვედა დიმს, თეთრ ეკლესიას... ის, საამოდ მოსაგონი საღამოც მახსოვს. ქვაბში ჩამხობილი დედალი, კეციდან არეკილი ცხელი მჭადები, „ცოლიკაურით“ სავსე ქვევრი (შხეფებს რომ ისროდა!) სტუმრებიც მახსოვს – ჯანსუღ ღვინჯილია, გიორგი კაპანაძე, ავთანდილ ყურაშვილი, ირაკლი ბაზაძე, გურამ გაგოშიძე, დავით იოსელიანი, იმედო გაბისონია, ჩემი მეუღლე – ანზორ ღვინერია. ზაალის ოჯახიდან დაბრუნებულები, ქვედა დიმში, ჩხეიძეების ოჯახში, მოგიზგიზე ბუხართან აღმოვჩნდით. თბილად მოვკალათდით... და რამდენად უცნაურად არ უნდა მოგეჩვენოთ, ყველანი ზაალ ებანოიძის ლექსების ტყვეობაში აღმოვჩნდით... მეგობრის პოეზია, თითქოს თან გამოგვედევნა... **„უხმო ალერსით მათრობელი რთველობის თვეა, შემობზარულა მინანქარი, ბროლი, ბადახში; ჭაობებიდან ბოლო წერო მიდის და მიაქვს სითბო – საგზალი ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანაში. ამჩატებულა სანახები ცის თავანებით, მზის ნატერფალზე სინანულმა გაიზარნიშა, ნეტავი ეს დღე ვის დავანებო, რომ მეც წავიდე წეროს წასვლამ რომ მიმანიშნა?!“** თრთოდა ლექსი, თრთოდა სტრიქონი... გულანთებული ვისმენდით.

სამახსოვრო წუთები იდგა!

ლექსისა და ღვინის მადლი ათბობდა... სოფელს, ადამიანებს, სამყაროს (რაკი დიასახლისობა მევალა, შორი-ახლო ყოფნა ვამჯობინე, ვუსმენდი მათ, ვუთვალთვალებდი... ყოველი წვრილმანი ჩამრჩა გონებაში!)

* * *

წლები გავიდა, ცხოვრება მცირედათ გაფერმკრთალდა. თუმცა, ჩვენს მეგობრობაში არაფერი შეცვლილა... ზაალის შემოქმედებას ყოველთვის თვალს ვადევნებ. რიტმულობის თვალსაზრისით ესოდენ მრავალფეროვანი მისი პოეზია, მკითხველის ყურადღებას იქცევს. წუთებსა და წამებში ტკბილ მოგონებად ჩაქსოვილი ყოველი მოგონება, უფრო მიგნება, ერთბაშად ცოცხლდება და განცდას გიხალისებს... მარადიულობის სუნთქვას შეიგრძნობ... **„წარღვნის ნარჩენი და წარღვნის კვალი აქა-იქ ახლაც ლივლივებს ტბორად; წაიყრის ფოთოლს და ზენა ქარი გაიარს თვალში შეფერილ ზოლად. გადიფრენს ცაზე უეცრად ძერა და აფრთხობს მზერას ფარფატა გრილო; და თვალჩავარდნილ სამყაროს კერავს და თუ ვერ კერავს-ხომ მაინც ცდილობს.“** ასეთ დროს სულს სიმშვიდე ეუფლება და გრძნობ, როგორ განიტვირთები ქალაქის ხმაურისაგან, ადამიანების შეხლა-შემოხლისაგან, ერთმანეთთან სიახლოვით მოგვრილი წყენისაგან, მოუთმენლობისაგან...

სულ ახლახან, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ და „ლიტერატურული გაზეთის“ ბოლო ნომრებში, ზაალ ებანოიძის პოეზიას გავეცანი, მის ახალ ლექსებს საკმაო ადგილი ჰქონდა დათმობილი. სიახლე, რაც მის შემოქმედებაში იგრძნობა, აშკარად თვალსაცემია – სულის სიღრმეებისკენ მიმართული ყოვლისშემცნობი მზერა, უდაოდ მოქმედებს მკითხველზე. აიძულებს იმაზე იფიქროს, რაზედაც არასდროს უფიქრია...

ახლა, ამ წუთებში, მეც ჩემდაუნებლიედ იმ გრძელ, შემოქმედებით გზაზე ვფიქრობ, პოეტმა რომ გაიარა... და არც ისე იოლად! თუმცა, წლებს მისთვის არაფერი დაუკლია, პირიქით შემატა... ახალი ხმები, მიხვედრები, აზრის სისხარტე, თვითმყოფადობა. არც თავდაპირველი სილაღე, ბუნებრიობა განელებია. მეტი სიღრმე შეიძინა, უფრო შთამბეჭდავი გახდა. ეტყობა განგებამ, ნიჭიერებასთან ერთად, მოთმინება და მძიმე უღლის ტარება დააბედა!

* * *

სანამ პოეტის შემოქმედებას შევეხებოდე, მინდა ზაალის საუბილეო თარიღი ვაუწყო მკითხველს – **2019 წლის 7 იანვარს, ზაალ ებანოიძე 80 წლის გახდა**!

იგი გალაკტიონ ტაბიძისა და ლადო ასათიანის სახელობის პრემიების ლაურეატია, ღირსების ორდენის კავალერია, ბაღდათის საპატიო მოქალაქეა. როგორც თავად წერს: „დავიბადე 1939 წლის 7 იანვარს – ქრისტეშობის დღეს, ბაღდათის რაიონის სოფელ ზედა დიმში, ბიბლიურ ოჯახში (მშობლების მეთერთმეტე შვილი ვარ) საშუალო სკოლა წარჩინებით დავამთავრე – როგორც მაშინ იტყოდნენ, მედალზე. ფილოლოგიური განათლება არ მიმიღია – ინჟინერი ვარ. 1971-1974 წლებში ექსკურსიამძღოლი ვიყავი ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში, ხოლო 1975 წლიდან პოეზიის განყოფილების გამგე – ჟურნალ „განთიადში.“ ამჟამად ვხელმძღანელობ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმთან არსებულ ლიტერატურულ სალონს. პირველი ლექსი 1957 წელს დავბეჭდე, პირველი წიგნი 1973 წელს გამოვიდა.“ ხოლო ლექსად ასე ამბობს: **„და სულ ეს არის, ქვეყნად რაც გინდა: მარტის დარები გიყვარს შილიფი, გადიხარ ხალხში ლექსი – კაცი და გადიხარ ხალხში კაცი – ტირიფი. ტირიფის ტანზე ჩიტები სხედან, გახეთქვაზე აქვს გული ფეთებას; და მარილივით ემჩნევა სევდა, შენს შეუმჩნეველ შემოქმედებას.“**

* * *

ჩვენი ახალგაზრდული წლები თავიდანვე დაუკავშირდა ერთმანეთს. ორთავენი, გაზეთ „ქუთაისის“ რედაქციაში, რიდით შევუღებდით ხოლმე რუთა ბეროძეს კარს... მკაცრ რედაქტორთან შეყრა გვიჭირდა... პირველი წიგნებიც ერთად გამოვეცით (1973 წ.) მწერალთა კავშირის რიგებშიც ერთად მიგვიღეს (ახლა ყველაფერი გაიოლებული რომ არის, მაშინ ძნელი იყო!).

ზაალის წიგნები, მისი პოეტური კრებულები (რომლის უმრავლესობა ჩემს ბიბლიოთეკას ამდიდრებს), გამოჩენის პირველი დღიდან შეიყვარა მკითხველმა. გაითავისა. ეს არ არის უბრალო საქმე! მათი ჩამონათვალი ერთობ შთამბეჭდავი მეჩვენება. წიგნის სათაურები თითქოს სათქმელს ამხელენ: ლექსები (1973 წ.), „მთვარის კელაპტარი“ (1977 წ.), „წვიმის შვილი“ (1979 წ.), „იწყება აღმართი“ (1981 წ.), „ვის გამოიხმობ ზამთრის სახლიდან“ (1984 წ.), „ხატიმამული“ (1985 წ.), „ციდან დასარეკი ზარები“ (1986 წ.), „მარადიული რთველი“ (1989 წ.), „პოეტი ნაცვალსახელების ჩრდილში“ (1996 წ.), „დედამუხა ლექსები“ (1998 წ.), „ერთტომეული“ (2006 წ), „თვალჩავარდნილი სამყარო“ (2006 წ.), 100 ლექსი (2010 წ.), რჩეული (2013 წ.), „წყალგაღმიდან მოიწერე“ (პოემა-რეკვიემი) (2014 წ.) და სხვა მრავალი.

* * *

როცა ზაალ ებანოიძის პოეზიას ეცნობი, ხვდები, უპირველესად ხელთ გაქვს გარკვეული პოეტური ძიებების საინტერესო ნაყოფი... უფრო შედეგი. საიდანაც ახალი მიგნებები, აღმოჩენები, სივრცეები იშლება. მიუხედავად პოეტის მიჩუმათებული ყოფისა (იგი არასდროს ხმაურობს!), არც ზედმეტ ჯილდოებს და წარდგინებებს ითხოვს... მამის დანატოვარ მამულში, მშობლიურ კუთხეში, სოფელ დიმში, ძველისძველ ეზოკარში ყოფნას ამჯობინებს. ცხოვრობს თავისთვის, თავს არავის აბეზრებს, არც ქედს უხრის...

პოეტის თავისთავადობა, მისი პიროვნული სისავსე, კიდევ უფრო სათვალო და საჩინო გახადეს მისმა ოჯახის წევრებმა... (ზაალის ოჯახს, ქუთაისში „მწერლების ოჯახს“ ეძახიან!) რასაც გამორჩეულობის ნიშნად მივიჩნევ. მრავალი წელია გვერდს უმშვენებს მეუღლე – იზოლდა ქუთათელაძე, გამომცემლობის მუშაკი, ქართული სიტყვის ღირსეული მცოდნე. მახსოვს, ახალგაზრდობაში იზოლდა ლექსებს სწერდა. რამდენიმე სტრიქონი ახლაც მახსოვს: **„ბალახს ვთიბავდი ნამგალა მთვარით, ის სათიბები სიზმრებივით დარჩა გონებას...“ “გიგზავნი ბარათს, დამერწმუნე ერთგვარი შიშით, მე ათასების გასაგონად არ გთხოვ განაჩენს.“** და სხვა მრავალი. თუმცა, გატაცება დათმო და თავისი შეგნებული ცხოვრება ოჯახს მიუძღვნა, საფენელად გაუფინა... მეუღლეს – ზაალ ებანოიძეს, ვაჟს – მირიან ებანოიძეს (მეცნიერს, პოეტს, მოაზროვნეს), რძალს – პოეტ მაია ჯოლბორდს. ქალიშვილს – მირანდა ებანოიძეს – თურქული ლიტერატურის მცოდნესა და მთარგმნელს. შვილიშვილების მთელ წყებას, მომავალ თაობას...

რასაც დიდ საქმედ მივიჩნევ...

* * *

ზაალ ებანოიძის შემოქმედებიდან განსაკუთრებით გამოვყოფდი ლექსების ციკლს, სადაც უჩვეულო განწყობა, ასხლეტილი აზრი, ფიქრის ნაკადი ერთმანეთს შეპირისპირებია. რაც ოდესღაც გიხილავს, გიგრძვნია, პოეტი ხელახლა გიფენს თვალწინ, კვლავ განგაცდევინებს. **„მოვკვდები ვიცი, ამასაც შევძლებ (შეგიწყობ ხელს და ცოდვისგან გიხსნი) ია-იები ამოვა გზაზე ჩემი ძარღვიდან წამსკდარი სისხლით. მოყევი ამ სისხლს ნადირის გეშით, კონე იები, კრიფე და კონე და მიაწოდე ხელიდან – ხელში, ვინც მე მახსენებს და მომიგონებს.“**

ხოლო როცა ქალი, როგორც არსება შემოდის მის პოეზიაში, იგი უფრო მგრძნობიარე და ძნელად შესაცნობი ხდება: **„ქალის მოძრავი ტანია ყანა, მოძრავი ყანა – ქალი, პირიქით... ყანის ბოლოში ალვები ჩანან, ყანაში კენტი შედის ბილიკი. შეგიყოლიებს უძღები თვალი, ატროებული ჟინით, ამოთი, – ქალში ყანა და ყანაში ქალი, ისე მაცდურად გადი-გამოდის.“** მსუყე, მადლიანი ენით ნასაზრდოები პოეტური სტრიქონები ზოგჯერ გაბედულ ექსპერიმენტს ემსგასება. სიყვარულის, მონანიების, ტრფობის ნიმუშებად აღიქმებიან: **„მჩატეთ აიმგზავრებს ქარი – საქსაფონი, ჭალის მინორებს და მაჟორებს; ლერწმის შრიალივით ძნელად გასაგონი ხმით რომ ლაპარაკობს – გაჟრჟოლებს.“**

გეჩვენება, თითქოს წვიმა ჩამოდის, მოშრიალე და თბილი... მისი სტრიქონები არასდროს ხმაურიანი და მყვირალა არ არის. სიჩუმე, სიწყნარე, კეთილგანწყობა იგრძნობა. იმერეთის სიმყუდროვეში შეფარებული პოეტი, თავისი განცდების, გზნების საპასუხოდ, საპაექროდ იწვევს ყველას: **„გქვია ჭირისუფალი მოტირალი – ქარის, დღემუდამ რომ თავის საწუხარზე გვიყვება; რჩება შეუცნობელი სამყარო და ქალი, და ორთავეს ვალი – მიდიხარ და მიგყვება.“**

* * *

ვკითხულობ მეგობარი პოეტის ლექსებს და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ზაალ ებანოიძე თავად არსებობს პოეზიაში. ცოცხლობს, იბადება და კვდება... აქ არავითარი ძალდატანება არ იგრძნობა. ყოველი სტრიქონი სიცოცხლით ფეთქავს, მდინარესავით მოედინება. მასში გამხელილია ავტორის ნება-სურვილი, მისი ხვაშიადი, სულის ქროლვა. მან იცის, რა ფორმა მისცეს ლექსს, სად შეწყვიტოს, სად დასვას წერტილი. ზოგჯერ ცდილობს, ოდნავ შეანელოს მომძლავრებული გულისცემა, სული მოითქვას, ლექსსაც მისცეს ამოსუნთქვის საშუალება. **„შენი ერთგულებით ბევრჯერ დაისაჯე, ცოტას ორგულების ხელიც გეშველება, პირზე დანისაზე, პირზე დანისაზე შემდგარს ელოდება ხშირად შეჩვენება. ... მიიხედ-მოიხედავ და ყველა მართალია, ყველა უცოდველის სახით იყურება, ახლა თვალთმაქცობა ჭრელი ფართალია – გზად რო გამოყარეს ვაჭრის ჯიხურებმა.“**

რაკი სიცოცხლე ცდუნებისა და სატყუარისაგან შედგება. ბობოქარ სამყაროში პოეტი უმეტესად დაუცველი ხდება. მისი ნაკლებად ესმით, ნაკლებად უსმენენ, ამიტომ ერთადერთ გამოსავალს მშობლიური კუთხის ერთფეროვნებაში მიმალვით ცდილობს. **„და იდუმალი ბგერა და ჩქამი, და შეფარული თამაში სიტყვის; ქმნიდა ყოველთვის სამყაროს ამინდს ეს საამაყო და მძიმე ტვირთი.“**

შემოქმედებით ძიებებს და მიხვედრებს უდაოდ გააჩნიათ საწყისი და სასრული. მისი პოეზია გაჯერებულია სიმართლით, უბრალოებით, მოკრძალებით და რასაც აღმოაჩენ (ზოგჯერ გაოცებს კიდეც...), ესაა ეშმაკეულის, დემონურის, არარსებულის საპირისპიროდ, უსაზღვრო სინათლის აღმოჩენა, ნატიფი სულის გაცისკროვნება... ამგვარი რაღაცეები ეხერხება ზაალს – **„ჩააცმევ ხელით ვარსკვლავებს ტანზე (ვარდისფერ კაბას იტყვიან სხვები); წვები ეკალზე და წვები ნარზე, დასაძინებლად მკვდარივით წვები. ...აგროვებს ყური ნაცნობ მუსიკად მოსულ კრუალის სოლოს, მთელი ცხოვრება ჩავლილა რაც რო ღამესთან, როგორც სხვის ცოლთან ცხოვრობ. ჩაუხსნი თრთოლვით ღამურის ღილებს, თითები უკვე გულისპირს ჩაცდა, და ირგვლივ, როგორც კარსტული მღვიმე ისე გაქვს ახლა ამ ღამის განცდა.“**

* * *

არ შემიძლია არ შევეხო მისი ცხოვრების ერთ მონაკვეთს – მრავალი წელი ზაალმა დიდი რუსი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედებას დაუთმო. რაკი წლები პოეტის სახლ-მუზეუმში გაატარა, სტუმრებს, დიდი რუსი პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას აცნობდა. ამავე დროს თარგმნიდა მის პოეზიას. ბოლოდროინდელ თარგმანებში,

გაგრძელება მე-5 გვ.

ზაალ ებანოიძე

(ფიქრები მეგობარზე)

დასაწყისი 4 გვ.-ზე

თავის თანამოკალმესთან – კონსტანტინე კიკნაძესთან ერთად, შეძლო ხელშესახები გაეხადა ტრაგიკული ბედის მქონე რუსი პოეტის პიროვნული თავისუფლება, თვითმყოფადობა. ამის დასტურია 2016 წელს გამოცემული, მაიაკოვსკის პოემა „ამის შესახებ.“ ასევე 2018 წელს – გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ გამოცემული ვლ. მაიაკოვსკის „თორმეტი ლექსი და ორი პოემა“ (თარგმნეს ზაალ ებანოიძემ და კონსტანტინე კიკნაძემ).

* * *

ზაალ ებანოიძე იმ პოეტების რიგს ეკუთვნის, ვისაც თავისი სათქმელი ყოველთვის აქვს. სხვისგან არაფერს სესხულობს, არც არავისას ითვისებს. საკუთარ თავს რწმენით, იმედით ავსებს. სათქმელს ბოლომდე ამხელს. ამიტომ ჩანს მისი ხალასი პოეზია ასე გამორჩეული. ახლა, როცა სიბრძნე – სიდინჯესთან ერთად, სიმსუყეც მოემატა სტრიქონს, აშკარად განსხვავებული შემოქმედი გახდა. რა დავმალო და, ბოლო ჟამს გამოქვეყნებულმა მისმა ლექსებმა, უდაოდ გამაოცა. მაგიურ-სიმბოლური შრეები, ყოველდღიურობიდან წასვლის გარდუვალობა, გადასვლის წამთან ძნელად შეგუება, აი, ასეთი თემები შემოიჭრა მის შემოქმედებაში... **„თარზე ვიდებ ცისარტყელას – კომბალს, გაუთლელ ლერწამს ხელით დავიჭერ. საჭიროა ხრამთან – ერთი „ჰოპლა!“ – დაიძახო, ვიდრე გადააბიჯებ. გული ამბობს – არ ჩაგიცდეს ფეხი – კოკას წყალი როდის მოაქვს ყოველთვის. გაფრთხილებას – ყურად იღებს გლეხი. გაფრთხილებას – წაუყრუებს პოეტი... გაჩენიდან ვარ ორთავეს მონა, ქედწახრილი წუთისოფლის ტვირთით, აგერ ახლაც უფსკრულს თვალით ვზომავ და შემკრთალი მაჯისცემას ვითვლი...“** (უკეთესი რა უნდა დაწერო!)

რაკი ყოველდღიურობის მახრუჭებისაგან თავის დახსნას ცდილობს. გამოსავალსაც პოულობს – ადამიანურ საწყისს უბრუნდება. საიდან მოვდივართ და სად მივდივართ, ყველაზე მეტად ეს აწუხებს პოეტს. **„ხიფათები. ხიფათების რიგი. ძაღლის თავი. დამარხული არაკი. ეჭვი – გარეთ. ეჭვი – გულის შიგნით. სხვა ეჭვებზე აღარ მაქვს ლაპარაკი.“**

* * *

ალბათ ამიტომაა (რაც შემთხვევით არ მომხდარა!), მისი ბოლო პოემა-რეკვიემი **„წყალგაღმიდან მოიწერე...“ (2014 წ. ქუთაისი)** შეიძლება რემფრენად წაუმძღვარო პოეტის მთელ შემოქმედებას. აქ ცხადდება პოეტის სულიერების, მისი კაცობის ღირსება. მამულიშვილობის განცდა, თვითგვემა, წუთისოფლიდან გაცლის აუცილებლობა, ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლის სიცხადე. ყოველივე ეს, იმგვარი სიღრმით შემოდის, რომ შ ე გ ძ რ ა ვ ს. არ დავმალავ და, დღევანდელობის (შემჩნევის თუ ვერ შემჩნევის ხანაში, როცა ყველა თავისთვის იღწვის... მოსახვეჭელს იხვეჭს.), მითუმეტეს თუ პერიფერიაში ჩაკარგვის საშიშროება გემუქრება, დედაქალაქის ხმაურიანმა ცხოვრებამ ლამის წალეკოს ყველაფერი, ვერავის ამჩნევენ!

ასეთ დროს, შემიძლია თამამად ვთქვა, ზაალ ებანოიძის პოემა „წყალგაღმიდან მოიწერე...“ შედევრად შეიძლება ჩაითვალოს! ამგვარი განცდა გამიჩნდა, როცა ჩინებული ქართველი პოეტის ვახტანგ ჯავახაძის პოემა-ელეგია „ყელსაბამი“ წავიკითხე. ტკივილით დაწერილმა მამაკაცურმა მოთქმამ, უდაოდ შემძრა. მეწყვილის დაკარგვამ თავგზა აუბნია პოეტს...

ზაალ ებანოიძის პოემაში სულ სხვა განწყობაა, აქ მარადიულობის ჩქამი ისმის, ამქვეყნიური სადარდელით დატვირთული ბრძენ-კაცის ნააზრევად აღიქმება... პოემა – რეკვიემში (როგორც თავად უწოდებს პოეტი!) ალაგ-ალაგ, გაბნეულ მარცვლებივით თუ ძვირფას ქვებივით ჩასმულია პოეტის ადრინდელი სტრიქონები. ისინი აფერადებენ და ავსებენ მას, მთლიანს ხდიან. როგორც სულის ნაფეხურები ისე ჩანან... ამქვეყნიურიდან წასვლა, უფრო სწორად მშობლიურ სანახებთან საბოლოო გაყრა, აშკარა შთაბეჭდილების ქვეშ გაქცევს.

აქ არაფერი გამოგონილი არ არის, ისევე რეალურია, როგორც ის მთები, რკალად რომ შემოვლებიან სოფელს, მცველად დგანან! მეც კარგად ვიცნობ მათ (ზედა და ქვედა დიმს ვგულისხმობ!), ასეთ დროს, ზღაპრის, სიზმრის ან რაიმე გამონაგონის განცდა კი არ გიჩნდება, არამედ რეალურის, შენეულის, შენი სამშობლოს სანახებთან დაშორების ტკივილი მწვავე და მოუთმენელი რომ გამხდარა... თითქოს ემშვიდობება მათ. მაგრამ, ვაი, ამ დამშვიდობებას!

ამიტომ მივიჩნევ, ზაალ ებანოიძის პოემა – რეკვიემს „წყალგაღმიდან მოიწერე...“ თანამედროვე ქართული პოეზიის შენაძენად.

* * *

ნახეთ, როგორ იწყება პოემა...

„ჟამი მოდის გაცილების – მარადიულ ჩვეულების... კვირტში გადანაწილების, რტოში გადასხეულების. ეთხოვები ზვრებს და ყანებს, რაც რო ხანი, რაც რო თესე– რასაც დღემდე ეთაყვანე, ეფერე და ეალერსე. დილის ცვარი მოჟიჟმატე – ღვთის ნებით რომ მოსავს ქედებს, გულისწყვეტას მოგიმატებს, უკან ბევრჯერ მოგახედებს.“

მასში ნაკლებად ჩანს სულიერი ქაოსი, აზრთა მონაცვლეობა. პოეტური მიხვედრები გაჯერებულია უტყუარ სიმართლესთან, სინამდვილესთან. მღვრიე სულიერი განცდები დაწმენდილია, თვითმყობადია. აშკარად იკვრება სულიერ-კოსმიური კავშირი მიწასთან (მშობლიურთან!), რეალურ სამყაროსთან, დღევანდელობასთან. ყოველივე ღვთაებრივი ნათლის ჭვრეტით ხდება, ეს კი ძნელად მისაღწევია... **„ხავსი ათბობს მთვლემარ წამებს, ტანზე იცვამს ქარს მოცხარი, „შენც გაწამეს, მეც მაწამეს, დღემდე მაინც ვართ ცოცხალი.“**

პოემაში ნაკლებად იგრძნობა გაშიშვლებული სულის ტკივილი, ფარული განცდებითაა დატვირთული, ნაკლებად შელამაზებულია... თითქოს ელექტრო მუხტებითაა დატვირთული, ალაგ-ალაგ რომ ნათდება სივრცე. გაიელვებს და გაქრება, მაგრამ არ გავიწყდება, მახსოვრობაში გრჩება... **„შორს გეზელი მიფარფატებს, ხელისგულზე სძინავს ზვინებს, თუ თვალებზე მიგახატეს ეს საზღაპრო სინამდვილე“**.

ხოლო როცა ნაცნობი ხედების, სივრცეების, სოფლების, მდინარეების, ღელეების ჩამოთვლას იწყებს, თან ცალკეულ სურათებად ხატავს მათ (გრძნობ, როგორ შფოთავს სული...). **„დიმმა თავად დაგანახა, როხმა თავბრუ დაგახვია“** და გრძელდება ჩამონათვალი – ხანისწყალი, წაბლიღელე, ნაისლარი, ბიქინეთი, კოდისწყარო, საბუკია, საჭილია, გოგოულა... მოდი და გაუძელი ამ ჩამოთვლას! **„გოგოულას მაღლა ტყეა, ხევით ორად გაყოფილი.“ „შორს ჭაღარა ქედებია, ქედებამდე ველებია, სუნთქვა გაგიჩერებია, თვალი გაგიშტერებია.“** მსუყედ, ხვავიანად, ფერებითა და ხმებით დახუნძლული იხატება მშობლიური სივრცე... ადამიანებიც შემოდიან, გვარებით, სახელებით, ძნელად დასავიწყი იერსახით. **„გადაშლილი მთების წიგნი, მსურდა ჩოქვით მომერთმია“**.

ივსება პალიტრა.

პოემა საოცარი მუსიკითაა გაჯერებული, კიდეც რომ გესმის და არც გესმის... უხილავ ინსტრუმენტზე აჟღერებულს წააგავს. ყოველი სტრიქონი გაფორიაქებს და გაბნევს. **„სმენას ჩქამი მოეკიდა, მზერას**

– ფოთლის ჩუქურთმები და სიზმრების მოედნიდან სინამდვილეს უბრუნდები: ჩირგვში ჭრელი ჩიტი კვნესის, სევდის გამოხატვას ცდილობს, შეინახავს შენი ლექსი იმის ხმას და იმის კილოს.“

* * *

აქ არ არის სიტყვების თამაში, რითმების ცვალებადობა, აზრთა შეუთანხმებლობა. აქ ყველაფერი დაწურულია, ბოლო სტრიქონამდე გათვლილია. ზოგჯერ გეჩვენება, ერთი და იმავე ბილიკის გავლა რამოდენიმეჯერ გიწევს, განსაკუთრებით მაშინ, როცა პოეტი წარსულს უბრუნდება, თავისი სიცოცხლის ყველაზე ტკივილიან წლებს იგონებს... კერძოდ აბასთუმანს. **„ტყეში მცირე ქალაქია, თუ სამოთხის თავფურცელი – ხელის გულზე ალაგია – ბიჭი ხარ და გაუძელი...“ „დილის ათი საათია. შუქი ცვრიან მინდორს მოჰყვა. უძილარი გაათია ღამე პავლე ინგოროყვამ. კედეკ-კედელ ღამის თოში, სარკმელ-სარკმელ ჭირხლი დილის, ამ გაყურსულ გარემოში თვლემს რამდენი ქარტეხილი. ლექსს უკითხავ ლებანიძეს, ლექსს უკითხავ აბულაშვილს – ძველ ტკივილებს შეაღვიძებ, სამყაროში საკუთარში.“**

შიშატანილი, ძრწოლას აყოლილი, ავადმყოფი ჭაბუკი ლამის ბოდავს: **„სენი, სენი გადამდები, პირის მორიდებას ითხოვს და ქმნის თეთრი ხალათები, ცოტა შიშს და ცოტა სითბოს. მკერდის ხიხინს აყურადებ, პერანგს სიმწრის ნამავს ხვიქი, თავს შიგნიდან აგულადებ, გარედან რო მაჯას ითვლი“** (ლადო ასათიანი მაგონდება, სიმწრის დღეები, აბასთუმანი...). ამიტომაა, წარსულის ხილვა არამარტო პოეტს უწეწავს სულს, მკითხველს ღრმა ემოციის ქვეშ ამყოფებს... ხოლო პოემის ბოლო სტრიქონები, როგორც სულის აკორდი, ბოლომდე მინდა მოვიტანო, რომ მკითხველი მის მადლს ვაზიარო. რაკი მიდის პოეტი, აქაურობას ემშვიდობება, ბოლო საგალობელს უგალობს. გაცლის წამი გასაოცარ მონატრებას იტევს... რაზედაც გული წყდება, რას ვერ ასწრებს, **„ფოთოლს ქარი აიტაცებს და ნიავსაც გული უცემს და წუხს წიგნი მაგიდაზე, ბოლო დღეს რომ გადაფურცლე. თავს იწონებს სველი თავშლით ცა და აფრთხობს ღია ტბორებს და წუხს თოხი სვრელის თავში, ბოლო დღეს რომ მიატოვე. ამოვარდნას გული ცდილობს, როცა ელდა ნერვს აჩერებს და წუხს ლექსი, გუშინწინ რომ დაიწყე და ვერ დაწერე... და წუხს თასი ღვინით სავსე – ბოლო დღეს რომ ვერ დაცალე. შეიწყვიტა დილამ ღილი – ცვრიან ვარდებს მწყესავს თვალი, და წუხს ვაზი რქა-ნაყარი – გუშინწინ რომ ვერ გასხალი. დღეს პირ-სახე შეებურა, მზერა მაინც ათბობს ჭალებს, და წუხს ბადე, მორევში რომ ვერ გაშალე. სინანულით ეტანები ნაადრევად შემჭკნარ ულოს და წუხს ცხადი, ნეტარებას სიზმარშიც რო ვერ ნახულობ. თვალი, თვალი არ ნადირობს, აღარც ხეტიალი – ხელად და წუხს მუხლი, მარნამდი რო ბილიკს ფეხი ვეღარ თელავს... მზერა ეძებს რიბი-რაბოს, დარდს შიგნიდან შეაშრები, და წუხს გული იმის გამო, რო გინდა და ვეღარ შვები“.**

მარადიულ დატირებას წააგავს, წინაპართაგან გადმოსულს, მრავალჟამიერით გახმოვანებულს... რაც მთავარია, ის გულისწყვეტაა გადმოცემული, წასვლისას რომ უჩნდება ხოლმე ადამიანს. ამქვეყნიურის ვერ შელევა, ძნელად დათმობა... **„ხელზე გიზის წამიერი, გასაფრენად იხსნის ღილებს. გრძელი მრავალჟამიერი მიდიხარ და მიგაცილებს.“ „თითქოს გული მოიჯერე – რო გინდოდა, გამოთქვი და... წყალგაღმიდან მოიწერე, რა წაიღე გამოღმიდან?“**

– რა მიგვაქვს გამოღმიდან ?! ეს უბრალო კითხვა არ არის, არც პასუხია – უბრალო. იგი მრავლისმთქმელად აღიქმება...

(„ჩვენ რას წავიღებთ იმ ქვეყნად, სხვას არა წაუღია რა.“)

ჯანის სიმრთელეს ვუსურვებ პოეტს!

ლეილა მესხი

ზაალ ებანოიძე - 80

80 წლის წინ, ქრისტეს შობის დღეს, იესოს დაბადებიდან ოცი საუკუნის შემდეგ, დიმნას ციხესა და მდინარე ხანისწყალს შორის მდებარე, იმერეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ზედა დიმში, შეძლებული კოლმეურნის მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა დიდი ქართველი პოეტი, დიდი პიროვნება, კარგი ორატორი, გათანასწორებული, განსწავლული, ნაკითხი, ერუდირებული, დინჯი, კეთილშობილი, საქართველოს სიყვარულით გულანთებული, ჩემი მასწავლებელი და უფროსი მეგობარი ზაალ ებანოიძე.

თუ ვაჟა ცეცხლის შუქზე წერდა ლექსებს, ჩამოდიოდა მთიდან თბილისში და ხურჯინით ჩამოქონდა, ზაალს, სიყმაწვილის წლებში, დაბალი ძაბვის გამო მბჟუტავი ელნათურის შუქზე დაწერილი ლექსები გალაკტიონივით, სოფლიდან ქუთაისში ჩამოქონდა.

პოეტის ლექსებში იგრძნობა ქართული გული, ქართული სული და მომავლის ხედვა. მისი პოეზია მშვენიერია ვით ხანისწყლის ხეობა. მისი გული ფიქრებით სავსეა ვით საირმის მთები ნისლით. მისი სული ნათელია ვით მზის შუქით განათებული ბაგრატის ტაძარი. მისმა პოეზიამ დროს ბევრად გაუსწრო.

ბატონო ზაალ,

გილოცავ დაბადების დღეს, დაე, ეს საიუბილეო წელი ყოფილიყოს თქვენი კარგად ყოფნისა და შემოქმედებითი აღმავლობის ბრწყინვალე პერიოდის (ვიდრე გასული წლების) დასაწყისი.

კარგი სიბერე და დოვლათი მოგცეთ უფალმა.

ახლა მინდა მეგობარო, კვლავ სურვილი გაგიმხილო,

ოთხმოცი წელი ცოტაა, ასი წლის უნდა გიხილო.

მაშ, გაუმარჯოს ჩვენს იუბილარს, ასე მხნედ და ჯანმრთელად მენახეთ 100 წლის იუბილეზე.

ულრმესი პატივისცემით, ნოდარ ხიზანეიშვილი

ზაალ ებანოიძე - 80

ზაალ ებანოიძე - 80

ზაალ ებანოიძის შემოქმედებაზე ან ძალზე მოკლედ უნდა ითქვას სიტყვა, ან – ძალიან გრძლად.

მე ვერცერთს ვერ ვრისკავ და ისევ ისე საშუალო ვარიანტს ვირჩევ. იმიტომ კი არა, რომ მეპატარავება, უბრალოდ, მოკლედ თქმა მკითხველის უპატივცემულობაა, ხოლო გრძლად ნათქვამს გაზეთი ვერ დაიტევს.

ისე, ერთ საკითხზე რომ ამთავითვე შევთანხმდეთ, პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ ეშველება. დავთქვათ, რომ ეპითეტი „დიდი“ მხოლოდ უკვდავ შოთა რუსთაველს მიეკუთვნება, ხოლო, დანარჩენები – ყველანი ქართველი პოეტები ბრძანდებიან (მოვიშველიოთ ლადო ასათიანი: „... ქართველი პოეტი მერქვას“). არადა ვისზე ნაკლებია ასათიანი!

საერთოდაც, წოდებებს მხოლოდ ესა თუ

ის სახელისუფლებო ორგანო ანიჭებს სათანადო აქტებით, თორემ, ვახტანგ მეფე რომ ღმერთს უყვარდა და ციდან რომ ჩამოესმა რეკა, იალბუზზე რომ ფეხი შედგა და დიდმა მთებმა რომ იწყეს დრეკა, ან პატარა კახს რომ ჯაჭვის პერანგი ჩააცვეს და ხელი რომ გაჰკრა და გახია, – ამას ხალხი ადგენს!

სადღეისოდ კი რა ხდება – იტყვი მავანზე დიდი მწერალიაო და უმალვე აფუთფუთდება მისი უმდაბლესობა – შური.

ასეა დამკვიდრებული (და, სხვათა შორის, არა მხოლოდ საქართველოში), რომ საიუბილეო თუ სამგლოვიარო სიტყვაში ნაკლს არ მიუთითებენ და ეს ბუნებრივიცაა, ადამიანურად გასაგებია – თუ რატომ.

ისედაც, ესეისთვის მხოლოდ დადებითი, თანაც, გამორჩეული პიროვნება, ობიექტი ან მოვლენაა იმპულსის მომცემი.

ამ წინეებზე ერთ ასეთ გამორჩეულ პოეტზე, დაბადების დღესთან დაკავშირებით, ასეთივე მომცრო ესეი გამოვაქვეყნე.

მეორე მავანმა ცხვირი აიბზუა – წამხდარია ერთ დროს მქუხარე ლიტერატურული კრიტიკის საქმეო, მხოლოდ პანეგირიკულ, მაამებლურ დითირამბებს უგალობენ ერთმანეთსო!

შესაძლოა, არც მთლად უამისობა იყოს, მაგრამ ყველას ერთი ჯოხით გარეკვა რომ არ ეგების? ეტყობა, ზოგიერთს მონატრებია განმაქიქებელი ოპუსების კითხვა, როცა კონიუნქტურულ დაბალანსებას ენიჭებოდა პრიორიტეტი, როცა ბდღვირს ადენდნენ ხელისუფალთაგან ათვალწუნებულ მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს. ერთი სიტყვით, შემოქმედ ადამიანებს.

მოვსწრებივარ ისეთ დროს, როდესაც მიხეილ ჯავახიშვილის ბრწყინვალე ნოველას – „დამპატიჟეს“ – ერთი დიდად ცნობილი კრიტიკოსი მიწასთან ასწორებდა, ხოლო, მეორეს – ცაში აჰყავდა!..

ბესარიონ ჟღენტიც და ნოდარ ჩხეიძეც ეპოქის შვილები გახლდნენ, თუმცაღა, ერთი ასაკით გვარიანად უფროსი და, ამდენად, დათრგუნულიც, ხოლო მეორე – ლაღი, მაგრამ ახალგაზრდა და ამდენად, უფრო გაბედულიც.

ნათქვამია, ცოდვა-მადლი თანაბრად იზომებაო. ბესო ჟღენტს, საბედნიეროდ, ისეთი „გამოხდომაც“ უმაგრებს ზურგს, ნებისმიერ შემთხვევაში ალიბად რომ წაადგება.

საბჭოთა კავშირის მწერალთა მორიგ ყრილობაზე, მართლაც რომ შემზარავი, იმპერიული სულისკვეთებით გაჟღენთილი წინადადებით მიმართა დელეგატ თანამოკალმეებს არცთუ უნიჭო ყირგიზმა პროზაიკოსმა, ჩინგიზ აითმატოვმა: დროა, ამხანაგებო, მოძმე რესპუბლიკების მწერლებმა ორივე ენაზე – საკუთარსა და პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოისა და დოსტოევსკის ენაზეც თხზან თავიანთი ნაწარმოებებიო!

პარადოქსია პირდაპირ! ჩამოთვლილ მწერალთაგან არცერთი არ გახლავთ წარმოშობით რუსი! აქა-იქ ტაშიც იყო.

მაშინ სიტყვა ითხოვა ქართველმა ბესარიონ ჟღენტმა. დარბაზი გაისუსა, სმენად იქცა. იცნობდნენ ბესარიონ დავიდოვიჩს!

– ძვირფასო ამხანაგებო! მოგეხსენებათ, დღემდე ასე გახლდათ მთელ საბჭოეთში დამკვიდრებული: ყოველ ახალ წამოწყებაში ჩვენი უფროსი ძმები – რუსები – გვიჩვენებდნენ მაგალითს და კი ბატონო, ჯერ დიდად პატივცემულმა მიხეილ შოლოხოვმა დაგვიწეროს ქართულად თუნდაც პატარა მინიატურა, პირობას გაძლევთ, ქართველი მწერლებიც რუსულზე გადავლენო!

დარბაზში ჰომერული ხარხარი ატყდა და აითმატოვი გაშრა.

ამიტომ, ძვირფასო მეორე მავანო, ბესიკ ხარანაულის შემოქმედების, შეძლებისდაგვარად, ობიექტური შეფასება, მაამებლობა კი არა, ის შემთხვევაა, როცა ნაღდ შემოქმედს სიცოცხლეშივე ვეუბნებით გამამხნევებელ, თბილ სიტყვებს, როცა მეშველი ზმნა – ყოფნა – ჯერ კიდევ აწმყოშია და არა უკვე – წარსულში.

მაგრამ, სულხან-საბას რომ დავესესხოთ, თუ მწუხარება გძლევთ სხვისა კეთილსა ზედა, ვერაფერს გიშველით.

სულს, სულს სჭირდება ფერება, თიხის
ჭურჭელში ჩაკეტილს,
მოკვდავის ბედნიერებას ან წუთებს
სასოწარკვეთის;
რომ ხედავ, ცრემლი გერევა, – ცით
გიტარებენ გაკვეთილს...
სულს, სულს სჭირდება ფერება, თიხის
ჭურჭელში ჩაკეტილს.

როგორც ხედავთ, თავად ზაალიც მიდასტურებს ამ შეგონებას ჩემსას.

***

მთელ დღეს დავხტოდით, დავრბოდით და თან საქონლისკენ გვეჭირა თვალი, რომ კოლმეურნეობის ნაკვეთში არ გადაგვპარვოდა.

ფეხის გულები ნარეკლებით გვქონდა სავსე და ვერიდებოდით კოლბოხებზე სიარულს.

მერე ჟივილ-ხივილით ვჭყუმპალაობდით – შენ და შენი უბნის ბავშვები საკრაულაში, მე და ჩემიანები – ჩხარაში.

მოვერეკებით საღამოს პირუტყვს, თქვენები სერიდან, ჩვენები – ჩხარაპირიდან.

საიდან სადაო და, ჩვენ ბიქტორიას ძელქვებთან, თქვენ – ცეცხლაურას წყაროსთან ბიცოლა მეზობელი არ ჩაგვსაფრებია! ხელში ბროწეულის სახრე უჭირავს და პირქუშად იყურება.

– რომელმა მამპარეთ ნესვები? – გადამიდგა წინ.

– არ მამიპარია მე!

– დეიფიცე აპა!

– მამა მამიკვტეს.

უმალვე ახსენდება, ობოლი რომ ვარ და ჩიტიკუდა ქოჩორზე ლმობიერად მისვამს ხელს.

– შენ? – მოდგა ჯერი შენზეც.

– არ მომიპარია მე! დედა მომიკვდეს.

შეცბა შენი ბიცოლა მეზობელი. გაახსენდა თერთმეტი შვილის დედა რომ დაიფიცე და სახრე მოისროლა.

კი, ჩვენ, თითქმის ერთსა და იმავე დროს ვიყავით ომით დაღდასმული ორმოციანი წლების დამშეული ბავშვები, მამები რომ ფრონტზე იბრძოდნენ და მოხუცებს ღვინო და არაყი დაჰქონდათ სამეგრელოში სიმინდში გადასაცვლელად; ხშირად მინდვრის ფხალიც რომ სანატრელი იყო, ეკალას ძებნით ხომ მკლავები გვქონდა დაკაწრული. ოდნავ დაბაზებულ სიმინდს რომ მოსვლას არ ვაცლიდით და, ხორცსაკეპ მანქანაში გატარებულს, კეცსა და კეცს შუა ვაცხობდით.

და ამდენ სიმწარეგამოვლილს, შენ, კიდევ უფრო მძიმე ტვირთი აგკიდა ბედის მწერალმა. რაღა თქმა უნდა, პოეტობა ბედისწერაა!

სარკმლის რაფაზე ხმაურობს წვიმა
თუ კარზე ვინმე აკაკუნებს და
გიხმობს გარეთ;
თვალში რომ ახლა კურცხალი
ბრწყინავს,
შენ იგი მთელი ცხოვრება მალე.
...მომეტებულად ბლანტი და მლაშე,
მთრთოლვარ ბაგეებს ჩაიარს ვიდრე,
ჭვრეტად ღირს, როცა ჩამოსდით
ბავშვებს, –
ამ სამოთხიდან მოფრენილ ჩიტებს.

***

მახსოვს, დიდი ომის წლებში მეტად პოპულარული იყო რაჭული სახუმარო სიმღერა რძალ-დედამთილზე, რომელსაც პატეფონით ვისმენდით ხოლმე.

– პატარ-რძალო, პატარ-რძალო!

– ბაა-ტონო, ბატონო!

– წიწილებს დოუმუდრე, წიწილებს დოუმუდრე!

– ახლავე, ახლავე! ერთი, ორი, სამი, ოთხი...

მეთერთმეტე აღარ არი, წოუღია ძერასაო...

მეტს ვეღარ ვიხსენებ.

ზაალიც სწორედ მეთერთმეტე „წიწილაა“ – ყველაზე უმცროსი, ნაბოლარა, რომელიც კინაღამ გაუტაცნია ძერა-ტუბერკულიოზს!

ათი შვილიც უკვე გმირობა იყო და, თურმე მეტს აღარ აპირებდა ცოლ-ქმარი, რადგან ისედაც ომის სუნი ტრიალებდა ირგვლივ.

მრავალშვილიანი ოჯახის გამოკვებით შეფიქრიანებულ დედას წამლით უცდია შველა, მაგრამ სულ უფროსი ვაჟი, ოდესის სამედიცინო ინსტიტუტში რომ სწავლობდა, არდადეგებზე ჩამოსულა შინ, ბუხრისთავზე რაღაც წამლიანი შუშა სცემია თვალში, წაუკითხავს და მომდევნოსთვის უკითხავს, ამას ვინ სვამსო. დედა სვამსო. ბუხრის კედელზე მიუფშვნია ცხონებულს.

მოგვიანებით, როდესაც ზაალი ადრეულ ასაკში დაავადდა ტუბერკულოზით (ექიმი ძმა უვლიდა, რა თქმა უნდა), ზაალი ეხუმრებოდა: ახია შენზე, რომ არ მიგეფშვნა ის წამლიანი შუშა, ხომ გადარჩებოდი ამდენ ხლაფორთსო!

ეს ისე, ხუმრობაგარევით.

***

ზაალზე უფრო მორიდებული, უშურველი და თავაზიანი, პოეტური საძმოდან, არავინ მეგულება.

როცა სულ პირველად შევხვდი და გავიცანი ოტია იოსელიანის წყალობით (ნათელმირონი არიან), ისე ახლობლურად მომაჩვენა თავი, გავიფიქრე, ამას ხომ მთელი ცხოვრება ვიცნობდი-მეთქი!

მიუხედავად თვალსაცემი მორიდებულობისა, იოლად ახერხებს შენც გაგაშინაურებინოს თავი და ის ფსევდოდაძაბულობა, ახალგაცნობას რომ უთუოდ ახლავს ხოლმე, წამიერად ქრება. მით უმეტეს, რომ სასაუბრო თემატიკა იშვიათად სცდებოდა ამინდის ტაროსს, ნაკელის გატანას, შაბიამნის ხარისხიანობასა თუ ფუტკრის გამოზამთრების საკითხს. გეგონებოდათ, ორი სწავლული აგრონომი შეხვდა ერთმანეთსო!

მწერლობაზე და, კერძოდ, პოეზიაზე სიტყვა ძვირად დასცდებოდათ. მერე და მერე მივხვდი, რომ მათთვის ლიტერატურა იმდენად სერიოზული რამ გახლდათ, რომ ჰაიჰარად და უპრაგონოდ ერიდებოდნენ მასზე საუბარს.

ზაალმა გუმანით იცის, ადამიანის დაბადებასთან ერთად, სამყაროც რომ იბადება, ხოლო, გარდაცვალებასთან ერთად – თავდება. ამიტომაა, რომ იგი არ ცდილობს იმის დადგენას, თუ რომელი ეპიზოდია ადამიანის ცხოვრებაში მთავარი, რათა ის მთავარი მერე ლექსის თემად აქციოს. იგი ადრევე აღმოაჩენს, რომ ადამიანის სიცოცხლის ყოველი წამი და წამისწამია მთავარი, რომ მისი ამქვეყნიური ცხოვრება არ ნაწილდება მარტივ მამრავლებად.

ამიტომაცაა ძნელად შესარჩევი მისი საკმაოდ ხვავრიელი პოეტური მოსავლიდან, რომელია დედო-ლექსი ანუ რომელია ებანოიძის „მერანი“ თუ „ყორანი“; იგი წარმატებულად ცდილობს, არცერთი გულისძგერა არ გამორჩეს, არცერთი წუხილი თუ ნეტარება, აღტაცება თუ იმედის გაცრუება.

სიტყვამ მოიტანა და, გამოჩენილი თურქი პოეტის, ქისაქურექის ლექსების წიგნის წინათქმაში ზაალი ამბობს ასეთ ფრაზას: „პოეტის რჩეული ლექსები გამოქვეყნდა სიცოცხლის შემდეგ გამოცემულ წიგნში“-ო!

რა მარჯვედ მიგნებული გამოთქმაა – „სიცოცხლის შემდეგ!“ თითქოს უპრიანი იყო „სიკვდილის შემდეგ“, არა? მაგრამ არა, „სიცოცხლის შემდეგ“ უფრო ზუსტი და ტევადია, რადგან სიკვდილის შემდეგ აღარაფერი აღარ არსებობს.

რაც შეეხება ზაალის მიერ თარგმნილ ქისაქურექის ლექსებს. როდესაც მის ვაჟს, ასევე პოეტს, ბატონ მირიანს ეს ლექსები გადაუკითხავს, ხუმრობით უთქვამს, ზოგიერთი შენს კრებულშიც რომ შეგეტანა, კაციშვილი ვერ მიხვდებოდაო!

გაგრძელება მე-7 გვ.

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ 6 ᲒᲕ.-ᲖᲔ

და მართლაც, მოვისმინოთ, რა ქართულად ჟღერს ქისაქურექის, ვთქვათ, ეს პატარა ლექსი:

გელოდი, როგორც დილას სნეულს,
ან მიცვალებულს – სამარე ბნელი;
ან თავისთავში გამოხვეული
ეშმაკი – ცოდვის ჩადენას ელის.
არ ჩანდი, მაგრამ ლოდინით წრფელით,
თურმე, იმდენი გძერწე და გხატე,
რომ სამუდამოდ გამხდარხარ ჩემი
და მოსვლა შენი აწ არრას მმატებს.

მგონი, დროა, რომ თავის პორტრეტისთვის ერთი პატარა შტრიხი თვითონ პოეტმა შემოგვაშველოს.

„მოხრილი მხრები და ჩრდილი მომცრო,
თვალები – ტბორი და ტბორზე – ნისლი,
მთელი ცხოვრება სიტყვაში ცოცხლობს
სიტყვაში გაჭრილ სამარის ღირსი
სხვა დანარჩენი – ყანა თუ ზვარე
და ამა ქვეყნის სიკეთე მთელი -
ახუტებული იმად ჰყავს თვალებს,
სამარის გაჭრას შეუწყოს ხელი.“

კი, ჩახტომით, ნამდვილად იმ ზაალს უნდა ჩავუხტეთ და ჩავუხტეთ, ბარათაშვილს, ლამაზი ქალის მოსატაცებლად! ხოლო ლამაზი და შნოიანი ლექსისთვის ამ ზაალს, ებანოიძეს!

იმთავითვე უცნაური ზნე გვჭირდა ერთ დროს ქართველობას: თუ შინ ცოლად მაინცდამაინც მოტაცებული ქალი არ გვესვა, მზეთუნახავიც რომ ყოფილიყო, ლამაზი ვერ იქნებოდა!

ზაალის ლექსი კი თვინიერია, მიმნდობი და მოსიყვარულე; თუ გულს უჩვენებ, მოტაცება არ დასჭირდება, კრავივით აგედევნება. გულწრფელია და ალალი. ყველაფერს გაგანდობს, ჭირსაც და ლხინსაც. არც საგულდაგულოდ ენამჭევრობს, მაგრამ არც მჭლედ და მშრალად უბრობს. ოდნავადაც თუ შეგიყოლია, მერე თანდათან აგიყოლიებს და, ბოლოს, საერთოდ წაგიყოლიებს.

მე გეფერები და სანთლებს გინთებ და
გამტყდარ ძილზე აბიჯებს ღამე...
რა ეშველება ამ ფერმკრთალ თითებს და
მოლოდინში ჩათვლემილ წამებს,
მითხარი მაინც, ამ სულის ტკივილს რა
გამოხედვით და ხმით დავიხსნი!
ან მღვრიე წყალში დამტოვე ტივით და
ღვინოსავით ლექსი დამისხი.

***

ხაზგასასმელია რომ ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ფიგურალურსაც რომ ეძახიან, იდიომები, ნათელი პოეტური სახეები ზაალის პოეტური აქსესუარი და მთავარი საშენი მასალაა, ემოციურად რომ ზემოქმედებს მკითხველზე და გემოვნებას უფაქიზებს: „ცივი ქარების კუდების ქიცინს ჭრელი ფოთლების დაჰყვება რემა“, „ჩამომძიმდება სარკმელზე ზოლი და თეთრი სისხლი წასკდება ამინდს“, „გაგიხარია, დაბნევა თავზე მაყრია ბრელოდ“, „არადა, მიწის ქაღალდთან ოფლს მელანივით ვხმარობ“! „შორს, წყალში ახლაც კანკალებს თხმელა“, – დედინაცვლისგან დასჯილი ბავშვი“, ხოლო ამ ერთზე – „და ნაყვავილარ სახეზე ცას წაწალივით ვკოცნი“, – ცოტა ხნით უნდა შევჩერდე.

ცა პოეტების შთაგონების წყაროდ უთვალავჯერ ქცეულა და არცაა ეს საკვირველი. „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“, „შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო“, მაგრამ მაინც, როგორც შედარების ობიექტი, ცა გამოკვეთილად ჩანს სამი პოეტის შემოქმედებაში.

გარსია ლორკა: „შუაღამის ცა ჰგავდა გახლეჩილ ბროწეულს“.

ანდრეი ვოზნესენსკი: „ვარსკვლავები ცაზე, როგორც მიკრობები წყალში“.

ზაალ ებანოიძე: „და ნაყვავილარ სახეზე ცას წაწალივით ვკოცნი“.

მშვენიერია, ორიგინალური შედარებაა – ღამეულ ცას ნაყვავილარივით გამოჰყრია ვარსკვლავები!

ბოლოს, კიდევ ერთი დეტალიც და „საშუალო ვარიანტისთვის“, ვგონებ, იკმარებს.

ზემოთ ითქვა, რომ ქისაქურექზე ზაალი ასეთ ფრაზას გვთავაზობს: „სიცოცხლის შემდეგ გამოცემულ წიგნში“.

თუ ეს კორექტურული შეცდომაა, მაშინ ბრავო კორექტორს! და ხელი არ წასცდეს ხელმეორედ გამოცემისას ზაალს და არ ჩაასწოროს (თუ რატომ, მოგახსენეთ)!

შესაძლოა, ბევრისთვის არ იყოს ცნობილი, რომ სახელოვანი ამერიკელი მწერლის გვარი „ფოლკნერი“ – სწორედ კორექტორის შეცდომის შემდეგ მიიკუთვნა უილიამმა. სინამდვილეში, ფალკნერი ყოფილა, მაგრამ ლექსების (საკმაოდ სუსტი ლექსების) წიგნზე შეცდომით მიწერილი „ფოლკნერი“ ძალიან მოსწონებია ავტორს.

ერთი სიტყვით, როგორც სოფელ ჭორვილაში ვერ წააწყდებით, ბატონი ბიძინას გარდა, ვერცერთ ივანიშვილს, ასევე, ამერიკაშიც – ვერცერთ ფოლკნერს!..

ეს ისე, სხვათა შორის.

ვარღვევ პირობას და ორ ლექსსაც წავუმატებ, რომელთაგან ერთი თითქმის ავტოპორტრეტია, ხოლო მეორე თვით ვაჟას საკადრისი.

***

შეიძლებოდეს, გავიქცეოდი სადმე,
შემიკედლებდა მაწანწალების გუნდი,
შენგან მოძღვნილი ჩემი
კუთვნილი დავთმე,
და ერთგულებით ვზიდე
მონობის ხუნდი.
ვაითუ მაინც შევხარბებივარ ვინმეს,
ოდად ჩათვალა ხავსმოდებული სორო,
სადაც აქამდე ჩემივე გულის მღვიმეს
შეფარებული საყდრის ბერივით
ვცხოვრობ.
არც რა ახალი, არც რა ძველია რამე
(მდორე დინებას დასაბამიდან ვენდე),
ვდგავართ პირისპირ მე და
ლუსკუმი ღამე
და ერთმანეთში იმედს ამაოდ ვეძებთ.
თავზე დაგვყურებს გალაქტიკების ბანი,
ბანზე მშვენარი ვარსკვლავ-ქალები
სხედან,
გადახსნილია მეტეორების დანით
მათი მაჯები და ჩემი გულის სევდა.
სევდის სარკმლიდან ამომზირალმა
ზემოთ,
შემოგატირე ჩემი ჩალა და თივა;
წუთისოფელი მწკლარტეს მიტოვებს გემოს
და რო არ ველი – იმდროს მამტვრევს
და მცივა.
ვაი საბრალო, ჩემო ცოლო და შვილო
(უფრო საბრალო ალბათ,
უთქმელად ხვდებით),
დამაფარებენ ქარის სუდარას – ტილოს,
დამიმსვენებენ მკერდს
ღამეების თმებით.
და ეს იქნება... როდის იქნება,
ვინ თქვას,
სული ცოდვილი აგერ ჯახირობს ჯერაც,
მიმინოსავით წინ გამიშვია სიტყვა
და მუშა კაცის ხვითქი
მისველებს პერანგს.

***

მარადიული შენა ხარ, მე – ხელის
მუშა დღესო,
ტანზე მეხვევი ვენახად, სულში
გადგმულო ფესვო,
ყოველ წელიწადს ხელახლა უნდა
ვბარო და ვთესო,
ხირიმს ფალია ვუცვალო, ხანჯალი
უნდა ვლესო,
პასუხი უნდა მოვთხოვო, ვინაც
აგიქნევს ხელსო,
სიყვარულს უნდა გავუძლო, ხანძარზე
უფრო მწველსო,
ზურგი ვუჩვენო სიძულვილს, წკვარამ
ღამეზე ბნელსო,
ძაღლი ვაყეფო თეოზე, ხოტბა
ვაკადრო მზესო,
მოლზე წამოვწვე გულაღმა და
ვარსკვლავები ვწმყემსო!
დიდხანს, ძალიან დიდხანს გამწყესინოს,
ჩემო ზაალ!

ᲒᲘᲖᲝ ᲖᲐᲠᲜᲐᲫᲔ

ᲖᲐᲐᲚ ᲔᲑᲐᲜᲝᲘᲫᲔ - 80

თუნდაც 80 წლის იყოთ, ბატონო ზაალ

თავისი წიგნი მაჩუქა, როგორც მეგობრის – ჯანსუღ კორძაიას ვაჟს. სამახსოვრო წააწერა. გაოცებული ვუცქერდი, როგორი რუდუნებით გამოყავდა ულამაზესი ასოები. შემამჩნია, გაეღიმა და ბავშვური, მიამიტური გულწრფელობით მითხრა: რა ვქნა, ასე ვეფერები ქართულ ასოებს და სიტყვებსო.

გამოჩენილი ქართველი პოეტის, ბატონ ზაალ ებანოიძისათვის 80 წლის იუბილის მისალოცად ვწერ ამ სიტყვას....

მაგრამ რისი ოთხმოცი, ბატონი ზაალი საქართველოს ხნისაა... მასთან ერთად დაბადებულ-ბავშვობაგატარებული, მასთან ერთად ათას ჭირ-ვარამგამოვლილი, ბრძოლაგადახდილი, დაჭრილ-დაგლეჯილი, მაგრამ მასავით ფენიქსივით მკვდრეთით აღმდგარი, იმედიანი, მეტიც, გადამდებიმედიანი.

ბატონი ზაალის ღირებულებები – ეს საქართველოს ღირებულებებია, საუკუნეების მანძილზე შექმნილ-დაწურული... მისი მხატვრული სამყარო – ეს ქართული მხატვრული სამყაროა, სადაც ერთმანეთის გვერდით სახლობენ მითიური და რეალური გმირები, ერთმანეთს ენაცვლება ქართველი კაცის ბუნებასავით კონტრასტული საქართველოს პეიზაჟები, სადაც ყველა წყაროს დაუშრეტელი ქართული ენერგია, შემართება

და ღირსება ამოაქვს მშობლიური მიწიდან.

ზაალ ებანოიძე ამ ქართული სამყაროს ფარეშია, ლექსით ფარეში... მან, ზუსტად იცის, თუ როდის როგორი რიტმის და როგორი რითმით გაწყობილი სტროფი მიაგებოს (თავისი ვერსიფიკაციების მრავალფეროვნებიდან), სად რომელი პოეტური ხილვით და რომელი სიბრძნით მოუსალბუნოს თავის ქვეყანას; იგი შეუცდომლად გრძნობს, სად რა ჭიგო შეაშველოს მშობლიური სიტყვიერების ვენახს, რომ ამ ქართული სამყაროს მუდმივობას არაფერი დაემუქროს. შემდეგ კი ასე მოკრძალებით შეაფასებს თავის ყოველდღიურ რუდუნებას:

„გატეხავ შეშას და მშიერ ბუხარს
სულ თითო-თითო მუგუზლით არჩენ...“

მამაჩემმა მითხრა ერთხელ, ზაალ ებანოიძე იმ საოცნებო ქართველის განსახიერებაა, თანაბრად რომ იცის ქართული სიტყვის და მიწის საიდუმლო, მასში ერთდროულად ცხოვრობს კალმოსანი ინტელიგენტი და ვენახ-ყანაში მომუშავე გლეხი, ხოლო მისი შემოქმედება კი – ამ ორთავეს სულიერ საყაროს საიდუმლოებების მკითხველისთვის გაზიარებაა.

მართლაც ზაალ ებანოიძისებრი პოეტის ნიჭი და გლეხის გამოცდილება უნდა გქონდეს, ყანიდან ქარის მოტანილი ხმები ასეთ ჩანახატად რომ აჩუქო მკითხველს:

„ჭალის ყანიდან ცალი თოხის კაპასი ისმის,
არ მოჩანს გლეხი – ემალება
საყანე ფერდობს,
ახურავს ალბათ ფაფანაკი – რძისფერი
ნისლი,
შორიდან უნდა წარმოსახვას მე
ჩემსას ვენდო.
ხელიდან ხელში განაცვლებას
გაამხელს თოხი,
ცოტა ზედმეტი დაყოვნება ჩადგება ხმაში,
ან როცა სიმინდს ამოზრდია გლერტა
და მოხრილ
კაცს უნდა ფრთხილად ააცილოს
თითები, მაშინ.“

ან კიდევ:

„არის წუთები, როდესაც შიშველ
განცდას გაცრეცილ ნიღაბით მალავ
და ხელს ხავსისკენ იმიტომ იშვერ,
რომ თავის რწმენა შესძინო ბალახს.“

ზაალ ებანოიძეს ძალუძს, სამშობლოს წყალ-ჭალა ახლადშემოვლილმა ისეთი განცდა გაჩუქოს, მთელი ქართული ფოლკლორის ცოდნა-გამოცდილებას რომ იტევს:

„... და შედის ჩქამი, ჩქამი და ბგერა
სიტყვაში – როგორც საკუთარ სახლში;
შორს – წყალში ახლაც კანკალებს თხმელა –
დედინაცვლისგან დასჯილი ბავშვი.“

ბატონი ზაალი გაგიმხელს და გაგიზიარებს ერთხელ, ორჯერ, ბევრჯერ და მერე, როგორც განდობილს, შენ, მკითხველსაც იმავეს გეტყვის, რაც სამშობლოსთვის მრავალჯერ უთქვამს:

„მოვივედრებ მე ამ დღიდან ჩეროს,
სულს მოვითქვამ და საკინძეს შევიხსნი,
ამის მერე, რა და როგორ ვწერო,
ჩემზე უფრო, რა თქმა უნდა, შენ იცი.“

ან ასეთ აღსარებას მოგასმენინებს:

„იდუმალება უხილავ ლანდებს
ასულიერებს და ანამყენებს;
დიდი ხანია, მე ჩემს თავს დავდევ
და ჯერ კედელთან ვერ მივაყენე.“

მაგრამ, ჯერ რა დროს „თავის კედელთან მიყენებაა“, ბატონო ზაალ. ხომ კარგად იცით, რომ გამორჩეული პოეზია, გამორჩეული მეუღლე და საამაყო შვილები (თქვენმა ვაჟმა – მირიანმა უცხოელი კოლეგები რომ განაცვიფრა ქართველი კაცის ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით), თუნდაც მაიაკოვსკის პოეზიასთან ქართველი მკითხველის ზიარება (რასაც ბოლო წლები უშურველად მიუძღვენით კონსტანტინე კიკნაძესთან ერთად) საკმარისი არ არის. ხომ თავადაც გრძნობთ, რომ თუნდაც 80 წლისას გასაკეთებელიც, ამოსახსნელიც და შესაცნობიც ბევრი გაქვთ:

„მოღრუებულ ცაზე მიბჯენილი თვალი,
რასაც დღემდე ეძებდა დღესაც
იმას ეძებს;
სმენას გააფაქიზებს გაჩერება წამის
და მილეულ ჩქამის გაგონებას შეძლებ.
ჩქამზე ამოიზრდება საფიქრალი მისით,
ნერვები რო გვიხსნის ღამეების რჩევას;
მეტეორებს აშხეფებს ვარსკვლავების
სისხლი
და თვალებში ფერადი ნაპერწკლები
რჩება.
გქვია ჭირისუფალი მოტირალი ქარის,
დღემუდამ რო თავის საწუხარზე
გვიყვება;
რჩება შეუცნობელი სამყარო და ქალი
და ორთავეს ვალი – მიდიხარ
და მიგყვება.“

ყველა ვალის გადახდამდე ნაყოფიერად გეღვაწოთ საქართველოსათვის, ბატონო ზაალ!

უღრმესი პატივისცემითა და
სიყვარულით, ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲙᲝᲠᲫᲐᲘᲐ

ზაალ ებანოიძე - 80

ხშირად ვერ ვიხსენებ ესა თუ ის ადამიანი როდის გავიცანი, ან ვინ გამაცნო, ჩემი ამ თვისებისგან გამონაკლისი ზაალ ებანოიძეა, რადგან ის მისმა უდიდებულესობამ – პოეზიამ გამაცნო. დია,ხ პოეზიამ და არა მხოლოდ რამდენიმე ლექსმა, ან ზოგადად ლექსებმა. ზაალ ებანოიძეში ორი კაცი ზის და ორივე დიდია და დიადი, უბრალოდ განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ერთი ზაალი ჩვეულებრივად მოკვდავი ზაალ ებანოიძეა, ხოლო მეორე უკვდავი პოეტი. ამიტომაც მე 80 წლის ჩვეულბრივ მოკვდავს მინდა მივულოცო და ხანგრძლივი სიცოცხლე ვუსურვო, ხოლო პოეტ ზაალ ებანოიძის სიცოცხლე ქართული სიტყვის, ქართული პოეზიისა და კულტურის სისხლხორცეული ნაწილია და ამიტომაც იგი უკვდავია.

პოეტობა მხოლოდ ლექსის წერა არაა, პოეტი ისაა ვინც საკუთარ თავს და სახეს სარკის გარეშე ხედავს, ხოლო ხალხს და საზოგადოებას ორსავ სოფლიდან უმზერს და იმქვეყნიური მარადისობის ციდან დახედვა შეუძლია. წუთისოფელი მდინარე არაა, რომ მის ხიდს მდინარეზე გადებული ხიდივით რკინაბეტონის საყრდენები ჰქონდეს, წუთისოფლის ხიდის გაღმა – გამოღმა საყრდენი სიკვდილ-სიცოცხლეა და ერთეულთა ხვედრია სიცოცხლეში მოახერხოს გაღმა ნაპირზე „გადაპარვა“ და იქედან მზერამოპყრობილმა უაღრესად უბრალო და გასაგებ ენაზე აახმიანოს რითმით, რიტმით, მუსიკით და სახისმეტყველებით დახუნძლული ნაწარმოებები, რომლებიც სინამდვილეში ცამდე ამაღლებული მარგალიტებია და რომლებიც თანამედროვე ფილოსოფიური პოეზიის ტალღახმაურიან შენაკადს წარმოადგენენ.

„ჩათვლემილია ირგვლივ მიდამო,
ნისლში ფეხდაფეხ შედის ლიანთხა,
ციდან რომ აზრი ჩამოიტანო,
მიწიდან უნდა კიბე მიადგა.“

და რა ხანია ამ უგრძეს კიბეს რომ მიუყვება, ადის ცაზე და ჩამოაქვს აზრი ღმერთის სამფლობელოდან, ამ უღმერთო და სისხლნაპკურებ „ძე“ -ზე „უფრო ასულ“ „ბუნებით მდედრ“ სამყაროში. „სად ნისლის ბორიაყია, სად ჭანჭრობია მცირე და ნაზამთრალი ფშანები შეუტბორია წვიმებს“.

ზაალი დიდი ბუნების კაცია და რამდენადაც მიუწვდომელია შემოქმედებით, იმდენად მისაწვდომი და კომუნიკაბელური პირად ურთიერთობებში, ჩუმად იცის ყურის დაგდება როცა შენ საუბრობ, წყნარად იცის ჩართვა პოლემიკაში და მერე რომ აინთება, არ ისურვებ რომ ჩაქრეს და დაასრულოს საუბარი. შარშან ლეჩხუმში ლადოობაზე ვიყავით ერთად, უმასპინძლოდ ლეჩხუმლები როგორ გამოგვიშვებდნენ, ცოლიკაურიც დავაგემოვნეთ და გვიანი შემოდგომის წვიმიანი ღამე ერთად გამოვიარეთ ცაგერიდან ქუთაისამდე. ავტომობილში სამნი ვიყავით მე, თემო ჭახნაკია და საპატიო სტუმარი და თანამგზავრი ზაალ ებანოძე. გარკვეული მონაკვეთი თითქმის მდუმარედ გამოვიარეთ, დუმილი თემომ დაარღვია, უკანა სალონიდან მისი ხმა გაისმა: „და ტოკავს ახლა ლერწამი ტბორთან – მესალამურე პატარა მწყემსი,ზამთარი მიდის და თითქოს მოთბა და თითქოს უფრო გნებდება ლექსიც“ .... ბოლომდე წაიკითხა ზაალის ეს ლექსი რომელსაც „ანნლი“ ჰქვია. ზაალიც აენთო და ის ღამე ღამეს არ ჰგავდა, იმ ღამემ ლექსიც კი დამაწერინა, რომელიც ზაალს ვუძღვენი და რომელსაც „ცოცხალი ღამე“ ჰქვია

ცოცხალი ღამე ჭიმავდა მყესებს,
აწვიმდა ქუჩას, მრუდს და ქეციანს
და კითხულობდა პოეტი ლექსებს
და გვიტარებდა მერე ლექციას.
სალონში სული ენთო ვით დენთი,
გადაუღებლად წვიმდა და წვიმდა,
ვიყავით სამნი ვით მამა ღმერთი,
როგორც ძე ღმერთი და სული წმინდა.
მოკვდება ღამე, ღამე წახდება,
ვშიშობ თუმც მესმის ხმა საოცარი,
მოკვდესო მერე, რადგან რაც კვდება,
იგი არისო სწორედ ცოცხალი.
ცოცხალი ღამე ჭიმავდა მყესებს,
აწვიმდა ქუჩას, მრუდს და ქეციანს
და კითხულობდა პოეტი ლექსებს
და გვიტარებდა მერე ლექციას.

ბატონო ზაალ, თქვენი შემოქმედება მარადიული თანამგზავრია ცოცხალი საქართველოსი, მე კი ის მახარებს, რომ თქვენთან ერთად ანუ თქვენს დროში მომიწია ცხოვრებამ, ამიტომ დიდი სურვილი მაქვს რომ დიდხანს იცოცხლოთ და კიდევ ბევრჯერ ჩუმად შემოგვაპაროთ თქვენი ხმამაღლა წასაკითხი შედევრები.

პატივისცემით
ედი ნემსიწვერიძე

ზაალ ებანოიძის შემოქმედება

ლუხუტა

დაჩუმალათბს ლუხუტა
მომწვანო ბორკვებს შორის;
ზოგჯერ ტანი აქვს ლუყურტი,
ზოგჯერ ტანი აქვს ბროლის.
დღეს ნესმსის ყუნწში გაძვრება;
ხვალ – უკაცრავად ნურას;
ნადავლით დაიგანძება
და თავის ტყავში ბრუნავს.
წვეთწვეთა ნაგროვებია,
თენებოურის მთებით;
როცა ფშანები თვრებიან,
იმ დროს ესხმება ფრთები.
აიქოჩრება ბიჭივით,
შუბლზე აშრება ხვითქი;
მე შიშით მაჯა მიჭირავს
ხელში და ჩუმად ვითვლი.
დობილოების ჩანგია
და ტირიფების ურჟოლა,
უხდება ობრჩურ განთიადს
მკავლებზე მისი წოლა.

ჯატარა სოფელი

შვლის ნუკრივით ნებიერას,
სძინავს ტყეში ნებიერეთს.
ასე, ხუთი-ექვსი კომლის
ზეცას ემატება კვამლი.
ორი ლიპარიშვილია,
ოთხიც კიდევ გორგოძეა.
მთა-მთა ნიავს ნისლი მიაქვს
და ტყეების ხორხოცია.

* * *

ვარვარა რკინის უღელი,
გილოოტინის დანა;
კომშარი ძილი წუხელის –
ღია თვალებით თანაც.
ბარსახის მიამიტობა,
რამე ნელ-თბილი ცეცხლი;
თვალცრემლიანი მიტო ვარ –
ცხადშიც ვერაფერს ვერ ვცვლი.

გენიოსის ლანდი

დროს სივრცით ვზომავ და
სივრცეს დროით.
რამ მომაგონა ის „დოი, დოი“.
ანდა – ბირკვილი, ბატები თეთრი
წვიმდა იმ დილით, დავსველდი,
შევთბი.
საღამოს წაყვა ჭარხ(ა)ლის ფერი.
ვზივარ და ახლა ორ დროში ვმღერი.

მიწის არომატი

წყალი ჩამდინარობს და ჭალა ტბორდება
და ცეცხლი ღუდღუდებს თავისით,
და ეს ყველაფერი სმენაში გროვდება,
მზერაში გროვდება და განვიცდით.
ფრინველი ლაპარაკობს, ხე მღერის,
და მოლი ოქროს შუქს გამოსცემს,
რაც ნიშნავს - სამყარო ბებერი,
თავის თავს, თავის თავს ამოწმებს.
მიწის არომატი ფოთლების სუნია,
ჭკნობა რო მთავრდება და
ლპობა ეპარებათ,
და ვიდრე არსებობს, მანამდე დუნია,
მანამდე დუნია თავივით გვეყვარება.

ეტიუდების ჯამი

1.

საყანეებში ეძებ და ხვილიფებში ელი.
„შევძლებ, როგორმე შევძლებ,
რო მივაწვდინო ხელი.“
მართებს დევნება სმენას და მზერას
მართებს ნამი,
ასე აიდგამს ენას, ის - უსხეულო წამი.
მოლზე ჩიტების შხეფებს უჩანს სადარო პირი.
შორს ნაგზები ყეფენ და ხეობები ტირის.
უხილავია ხშირად და ამის გამო ფასობს
ჩურჩულით ამბობ - „დილას რა
ალიკვალი ჰგავსო.“
როცა კაეშანს მალავს და რიტმულ
ხმაურს იძენს,
გულის უფრთა ღალა – ვიდრე,
გონების სიბრძნე.
თუ ხარ გუნებამოთნე – ჩიტის
ჭიკჭიკიც კმარა –
რო სასწაული მოხდეს – ბზარი
დააჩნდეს წკვარამს.

2.

და სათვალახო ქრონიკები შენივე სახლის
(ძილში რო მჩატედ მომიყვები და
ცხადში დაგიღლის.)
ყამიდან ყამად ამოსრულილ
გაყინულ ბგერას,
გაათბობს მაინც რა კოცონი და
გულის ძგერა.
ნართაულების გადაგდება. სრულყოფა.
ბზრი.
იქვე – უსაქმო ქადაგება. ყაყანი ბაზრის.
ცნობიერებით როცა თვრები –
არსებობ იცი,
გსურს მოითმინო მოსათმენი შენიც
და სხვისიც.
ქარი აცერებს ახლა წვიმას,
მინდორი სველი,
იდუმალებით წასაკითხავს ჩამოჰგავს
წერილს.
და დაელმებულ სარკმლის მინებს
ეყრება ჭორფლი,
სიზმარში ქალი გაიღიმებს და
ცხადში გეყოფნის.
ეშვენიერისკენ მისწრაფებაც
სიკეთეს ნიშნავს,
შორს რიბი-რაბთ ისახება თუ ეს დღეც იშვა.
წნორის გულჩვილი ბუსუსების
ფარფატი შორი,
თითქოს საკუთარ გულს უსმენდე –
ხმაურობს ტბორი.
აიფელიკა უკვე ნისლმა ტყეები ვრცელი
და მოგეყურა ამდროს ის ხმა –
რომელსაც ელი.

3.

ცხენის ფიგურა გაღმა.
გაღვიძებული დარდი.
გგონია ფეხზე გახმა ცხენი და
ცხენის ლანდი.
მოგონებაში ხარობს ბევრი
შავი და თეთრი –
გეთქმის ასეთ დროს რა რო –
„შემეშინდა და შევკრთი“
წვიმის ბადურა ბინდი. ჟრჟოლის
ფარული განცდა.
ძილში თუ მაინც მიდი – ცხადში
უპოვარ განძთან.
მოიხალვათა მზერამ გზა და
დაანდო თვალი,
ქარს გამოება ძერა თუ ძერას
თავად ქარი.
გზა-გზა – ძახველის შუქი. გზა-გზა
– კუნელის ჩერო.
წვიმა--ძელანი ღრუბლის. ცა.
წერტილი და წერო.
და დგას წიაქი ცაში, ცაა წეროსთვის ღია
და მეოცნებე ბავშვის გულის ნადები
მიაქვს.
ტბორში შენავდა ჩრდილი და თავის
თავით ხარობს.
სადაც რო ღელე ტირის, იქვე
ჩუხჩუხებს წყაროც.
ეტიუდების ჯამი – დასრულებული ტილო.
დავიწყებული წამი განმეორებას
ცდილობს:
ზურგით დამდგარი ქალი. სარკე.
სარკეში – სახე.
ჩუმად მუშაობს თვალი – ეს,
აბსტრაქტული მახე.
საგნებს ჭირდება ჩარჩო, მერე შუქი და ...
მორჩა –
რო თითო-თითოდ ხარჯო, რაც რო
შორიდან მოჩანს:
მოლი. ღრუბელი. ფთილა. თქორი.
ჩანჩქერი. ისლი.
ჭალა. ურები. თივა. ტბორი. ლერწამი.
ნისლი.
„რო ყველაფერი გტკივა – შენია, განა
სხვისი?“ –
ერთ და იმავეს – მივალთ და
მეათასედ მიხსნის.

უწონადობა. ხიბლი. ტევრი.
სიშიშვლე. ბანგი.
დაუწერელი წიგნი. გაუგონარი ჰანგი.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი
საქართველო, ბაღდათი, ჯახიანის ქ. №3
ტელ: 595 538 536; 591 00 76 54
ელ ფოსტა: chemigazeti@gmail.com

რედაქტორი ანა ქორიძე
ტექნიკური რედაქტორი დავით ყიფიანი
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:
მარიამ ოქროჭელიძე, ანჟელინა ჭავჭანიძე,
აზა მაშანეიშვილი, ნინო სახამბერიძე,
ფოტო: ანა ფხალაძე

გაზეთი დაჯაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში“